**გილოცავთ ახალი წლისა და ათასწლეულის დადგომას!**


გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 103
(11 457)

29 დეკემბერი, 2000 წ. – 4 იანვარი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საქართველოს ყველა სპორტსმენს, მწვრთნელს, სპორტის მუშაკს, სპორტის მოყვარულს, სპორტული მასმედიის წარმომადგენელს

გულწრფელად გილოცავთ შობა — ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდ სიხარულს, მრავალ წარმატებას პირად ცხოვრებაში.

რწმენას გამოვთქვამ, რომ ყოველი თქვენთაგანი თავს არ დაიზოგავს ქართული სპორტის აღორძინებისა და წინსვლისთვის.

გვჯერა, რომ მომავალი წელი, საერთო ძალისხმევით, უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი იქნება და იმედია, რომ ისევე, როგორც ახლო წარსულში, ამიერიდან სპორტი კვლავაც ჩადგება ერის გაჯანსაღების სამსახურში.

პატივისცემით,

**ირაკლი მეძმარიაშვილი**
**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე**

## „ლელო" გილოცავთ!

„ლელოს" რედაქცია ახალ, 2001 წელს და დამდეგ XXI საუკუნეს ულოცავს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტის, სპორტული ფედერაციების, სპორტული საზოგადოებების, სპორტული კლუბებისა და სპორტული სკოლების ყველა თანამშრომელს, სპორტულ ჟურნალისტებს ჩვენი ქვეყნის ერთიან სპორტულ სამყაროს!



## ელდარ კურტანიძემ ქველმოქმედება დაიწყო

სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, ჩვენი სახელოვანი ფალავანი ელდარ კურტანიძე თავისი გულმოწყალებით ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ახლა კი ელდარს გადაუწყვეტია ქველმოქმედებას მიჰყოს ხელი და პირველი ნაბიჯიც უკვე გადადგა. ამ დღეებში ელდარმა 50-50 გერმანული მარკა დაურიგა ნაკრები გუნდის იმ წევრებს, რომელთა ოჯახები ხელმოკლეობას განიცდიან. ამასთან, 15 ჭაბუკ მოჭიდავეს გადასცა გერმანიიდან ჩამოტანილი საჭიდაო ფორმა. ელდარს გამზადებული აქვს აგრეთვე პრემიალური თანხა იმ 5 მწვრთნელზე, რომლებიც წლის საუკეთესო სპეციალისტად დასახელდებიან.

## მერაბ ჟორდანია საზოგადოებას ხსნის სფფ-ს ყველა „საიდუმლოს"!

ჩვენში დემოკრატიის პრინციპის დამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ინფორმაციის საჯაროობა იქცა. კანონი მოითხოვს: ყველაფერი, რაც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება, ცნობილი უნდა გახდეს ფართო მასებისთვის. რა უნდა ჰქონდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ისეთი საიდუმლო, სახელმწიფო ინტერესებს რომ ვნებდეს? ცხადია, არაფერი, მთავარია ამა თუ იმ ხელმძღვანელმა თავად არ დაადოს ვეტო შიდა საუწყებო ინფორმაციას. სფფ-ს პრეზიდენტმა გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე დაგვარწმუნა, რომ ფედერაციას დასამალი არაფერი აქვს და არც მომავალში ექნება.



ფაქტობრივად, ეს იყო ბოლო ორი წლის მუშაობის შემაჯამებელი პრესკონფერენცია, ანუ ის პერიოდი, რაც სფფ-ს სათავეში ახალი გუნდი მოვიდა მ. ჟორდანიას თავკაცობით. „ერთ-ერთი მონაპოვარი ჩვენს განვლილ საქმიანობაში ისიცაა, რომ მოწესრიგდა ურთიერთობა მასმედიასთან საერთო ამოცანის სასიკეთოდ. ცხადია, განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, ასეც უნდა იყოს — თქვა მ. ჟორდანიამ პრეს-კონფერენციის პროლოგში.

სფფ-ს პრეზიდენტმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ მძიმე ფინანსური მემკვიდრეობა ჩაიბარა, საბანკო ანგარიშს ყადაღა ჰქონდა დადებული, რაც უბოჭავდა სფფ-ს გასაქანს. ახალმა ხელმძღვანელებმა მიზნად დაისახეს სფფ-ს ჩინოვნიკთა და მსაჯთა ანაზღაურების ამაღლება, რაც გაზრდიდა ამ ადამიანების პასუხისმგებლობას. ეს ამოცანა შესრულდა. დღეს საქართველოში წამყვან მსაჯებს მაღალი ანაზღაურება აქვთ — 1500, 2000 ლარი თვეში. ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას და უფრთხილდებიან სოლიდურ შემოსავალს.

მ. ჟორდანია პირველად ღიად შეეხო სფფ-ს ბიუჯეტს. თქვა, რომ 2001 წლისთვის სფფ-ს დაფინანსება 4 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ამ ეტაპზე ეს საშუალებას იძლევა, ბევრი პრობლემა მოგვარდეს და ფედერაციამ გამართულად იმუშაოს. მალე დაიწყება სფფ-ს ახალი ოფისის მშენებლობა „ლოკომოტივის" სტადიონის მისადგომთან. მშენებლობა 6 თვეში უნდა დამთავრდეს და ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება. თანხას უეფა გაიღებს. ოფისის საერთო ფართი 1500 კვმ იქნება. ჟურნალისტებს მშვენიერი, ორიგინალური პროექტიც გააცნეს. ამ ინფორმაციას მოჰყვა ეროვნული ნაკრებისთვის ბაზის მშენებლობის თემა.

იხ. მე-3 გვ.

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ გამოკითხვის შედეგად გამოავლინა XX საუკუნის 5 უძლიერესი არბიტრი** (გვარებს გთავაზობთ ანბანის მიხედვით):

**გოგი აპალიშვილი**
**ლევან ფალავანდიშვილი**
**მურმან ქურიძე**
**როლანდ ხომერიკი**
**ვახტანგ ჯაფარიძე**



## გიორგი ჩაკვეტაძე №1 სპორტსმენი საბრძოლო ხელოვნებაში

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებულმა საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭომ.

გიორგი ჩაკვეტაძე 2000 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში, დაეუფლა პროფესიონალთა ქამარს. მსოფლიო ნაკრებში მოიპოვა ჩემპიონობა და აღიარეს ჩემპიონატის საუკეთესო კიკ-ბოქსიორად. ორჯერ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატებში 1999 წელსაც.

## გუშინ, თბილისში, სპორტის სასახლეში დამთავრდა „ბენდელას თასის" გათამაშება





*სურათებზე: მარჯვნივ — ტურნირში გამარჯვებული გუნდი „ნაძალადევი"; მარცხნივ — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი „ბენდელას თასს" გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს (ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები).*

იხ. მე-3 გვ.

*2001 წლის 7 იანვარს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ჩაატარებს მასობრივ-სპორტულ ღონისძიებას — „საუკუნის საშობაო" ღია პირველობას მეოთხედ მარათონში.*

## „საუკუნის საშობაო" ღია პირველობა მეოთხედ მარათონში

გარბენის სქემა

ქ. თბილისი

7 იანვარი, 2001 წ.

დასაწყისი 12.00 საათზე

მანძილი 10548 მეტრი



# ამაგდარი პედაგოგი

## წლები და ღვაწლი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ძალოსნობაში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტს, ბატონ შოთა ბუაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ბ-ნი შოთა ის პიროვნებაა, რომელიც მთელ თავის სიკეთეს, ადამიანურ საუკეთესო თვისებებს, რაც მას განგებამ უხვად უბოძა, დაუზოგავად უნაწილებს გარშემო მყოფთ, დიდსა და პატარას. კაცი, რომელიც თავაუღებლივ შრომობს, ნახევარ საუკუნეზე მეტია შესაშური ენერგიით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრადს, მათ პედაგოგებად ჩამოყალიბებას.. არ არის სფერო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში. რომ ბატონი შოთა თავის კვალს არ ამჩნევდეს, არ იყოს მოთავე მთელი რიგი ღონისძიებებისა, ანდა, არ მონაწილეობდეს მასში. ის ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებს ამას და, რაც უნდა დიდ საქმეს შეეჭიდოს, არასოდეს აღნიშნავს, არასოდეს გაუსვამს ხაზს თავის ნამოღვაწარს.

ბ-ნი შოთა საუკეთესო პედაგოგია, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, შესანიშნავი თეორეტიკოსი, მეცნიერი, მეგობარი, კარგი მეოჯახე.

ცხოვრებას დიდად არ გაუთამამებია, მხოლოდ თავისი დაუღალავი შრომით და მაღალი შემართებით აღწევდა ყოველივეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის ჭაბუკი, სკოლის დამთავრებისთანავე, 1942 წელს გაიწვიეს იმში. არმიიდან დემობილიზებისთანავე, 1948 წელს, ის უკვე მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ხდება, არის სწავლის ფრიადოსანი, სტალინური სტიპენდიანტი სწავლას აქტიურად უთავსებს სპორტს; თამაშობს ინსტიტუტის ფეხბურთის პირველ გუნდში, რომელიც საქართველოს პირველობაში მონაწილეობს. ძირითადად კი მისი სპორტული მოღვაწეობა ძალოსნურ სპორტთან არის დაკავშირებული, რომელსაც დღემდე აგრძელებს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მისი უშუალო თაოსნობით ყალიბდება ინსტიტუტში სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც თავად უდგება სათავეში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. შემდეგ ტოვებენ კათედრაზე მასწავლებლად, ხდება უფროსი მასწავლებელი, 1967 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას ქ. მოსკოვში თემაზე: „დამწყებ ძალოსანთა მომზადების მეთოდიკა". ხდება კათედრის დოცენტი, შემდეგ ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე, რომელსაც 1987 წლამდე ხელმძღვანელობდა და დღესაც იმავე კათედრის დოცენტია.



ბ-ნი შოთა არის მრავალი სამეცნიერო შრომის, ასეულობით საჟურნალო თუ საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი. მისი თაოსნობით მომზადდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკაში, სპორტული წვრთნის საფუძვლებში და სხვ. ამასთანავე არ წყვეტს კავშირს სპორტთან. 1960 წლიდან დღემდე არის საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის წევრი, სადაც წლების განმავლობაში ასრულებს ფედერაციის მდივნის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას. 1960 წლიდან დღემდე ძალოსნობაში არ ჩატარებულა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს, თუნდაც მწვრთნელთა, მსაჯთა კადრების მომზადებასა და გადამზადებაში მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში მას ლომის წილი მიუძღვის.

ბ-ნი შოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი მოამაგეა. მისი ღვაწლი სალექციო პროპაგანდაში როგორც თბილისის, ისე საქართველოს მასშტაბით, განუზომელია. მარტო საზოგადოება „ცოდნის" ხაზით ასეულობით და ათასეულობით ლექცია აქვს წაკითხული. დღესაც სიახლის ძიებაშია, ამ შეჭირვებულ ჟამსაც, ეს ჭარმაგი კაცი, გვერდში უდგას ახალგაზრდა თაობას, მათი დიდი ქომაგი და გულშემატკივარია. ასაკის მიუხედავად, გასაოცარი ენერგიით, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ემსახურება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აღზრდას.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრა, ყველა მისი თანამშრომელი, ვულოცავთ ჭეშმარიტად ნამდვილ მამულიშვილს, ბ-ნ შოთას დაბადებიდან 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკეთილდღეოდ.

**ბიული კახიძე,**
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

---

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 8 თვე დარჩა

**...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.**

*ე. შევარდნაძე*

---

## შვიდი მედლით ვეტერანთა ტურნირიდან



ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზის მახლობლად, დიდებული სპორტის სასახლე აშენდა. მას მიეკუთვნა ლეგენდარული მოჭიდავის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონის არსენ ფაძაევის სახელი. სასახლის გახსნას საზეიმო ცერემონიალს მიეძღვნა თავისუფალი სტილით ვეტერან მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქართველი სპორსტმენი მონაწილეობდა. მათ დიდი წარმატებით იასპარეზეს და ყველანი სამშობლოში მედლებით დაბრუნდნენ: ხუთმა პირველი ადგილი დაიკავა, ორმა — მეორე. ჩემპიონები გახდნენ — ვლადიმერ ვალიშვილი (69 კგ), ემზარ კიკაბიძე (76), სოსო სუთიაშვილი (85), დავით თოდრია (97), ზურაბ ნიკურაძე (130, ყველა — თბილისი). მეორე ადგილზე გავიდნენ: მევლუდ ჩხაიძე 58, (მცხეთა), თემურ საბაძე 85, (ბათუმი). ქართველი ვეტერანი ფალავნები შეჯიბრებისათვის მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მარლენ ოსიყმაშვილმა, ხოლო გამგზავრებაში დახმარება გაუწია „მოქმედ ვეტერან მოჭიდავეთა საზოგადოების" პრეზიდენტმა კახი არველაძემ.

უნდა ითქვას, რომ ოსეთის სპორტულმა საზოგადოებამ და, პირველ რიგში, თავად არსენ ფაძაევმა, სამაგალითო მასპინძლობა გაუწიეს ქართველ სტუმრებს — მათ თავის თავზე აიღეს სასტუმროს, კვების, ფასიანი საჩუქრების ხარჯები. სპორტის სასახლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო რესპუბლიკა ალანიას პრეზიდენტი ძასოხოვი, რომელმაც გულთბილი სიტყვები არ დაიშურა ქართველი ვეტერანების მისამართით. ასევე ითქმის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე სოსლან ანდიევზეც, რომლის ყურადღებას ჩვენი ფალავნები გამუდმებით გრძნობდნენ.

**ირაკლი ხანდამიშვილი**

---

## საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე"-2000

***„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ თბილისში დამთავრდა დედექალაქის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი ხუთ ასაკობრივ ჯგუფში, რომელშიაც რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. იქვე გაგაცანით გამარჯვებულები. დღეს სრულად წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.***

*„ა" ტურნირი. ვაჟები:* 1. თ. მგელაძე (რუსთ) – 7 ქულა, 2. მ. გუგუნაშვილი (თბ), ვ.ლ. ჯავახიშვილი (თელავი), 4. კ. შანავა (წალენჯ) – 6,5-6,5; *ქალები:* 1. ლ. ჯავახიშვილი – 6,5, 2. ს. გვეტაძე – 6,0. 3. ა. ვახანია – 5,5 (ორივე – თბ). ***14 წლამდე ჭაბუკები:*** 1. დ. ზარქუა – 7,5, 2. გ. მაღლაფერიძე – 6,5 (ორივე – თბ), 3. დ. ცეცხლაძე – 6,0 (ოზურგ); ***გოგონები:*** 1. მ. ესებუა – 6,0, 2. თ. მხეიძე – 5,5, 3. ე. მხეიძე – 4,5 (სამივე – თბ). ***12 წლამდე ბიჭები*** 1. შ. აზალაძე – 7,5, 2. გ. მარგველაშვილი – 6,5, 3. ვ. თევდორაშვილი – 6,5 (სამივე – თბ); ***გოგონები:*** 1. ჯ. მჟავია – 5,0 (ლანჩხ), 2. ნ. მერაბიშვილი – 5,0, 3. ნ. ხვედელიძე – 4,5 (ორივე – თბ). ***10 წლამდე ბიჭები:*** 1. ლ. ბრეგაძე – 8,0, 2. ვ. პერტაია – 7,0 (ორივე – თბ), 3. რ. ჯაჭვაძე – 5,5 (საგარ); ***გოგონები:*** 1. ა. ხაჟომია, 2. ე. ზარქუა, 3. ა. ბუცხრიკიძე – 6,0 – 6,0 (სამივე – თბ); ***8 წლამდე ბიჭები:*** 1. ბ. შოშიაშვილი – 7,5, 2. ბ. ფიფია – 7,0 (ორივე – თბ), 3. ა. ხახუტაიშვილი – 6,5 (გორი); ***გოგონები:*** 1. ნ. პაიკიძე – 6,0, 2. ქ. ბექაური – 5,5 (ორივე – თბ), 3. ქ. წაწალაშვილი – 5,0 (თელავი).



*სოფიკო ტერულაძე (მარცხნივ).*



*ა. ბოკუჩავა (მარჯვნივ)*

შეჯიბრება, რომელიც ჩინებულად იყო ორგანიზებული ჩაატარა საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტის, აღზრდისა და სამხედრო მომზადების მთავარმა სამმართველომ (უფროსი დ. ბერძენიშვილი), და ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვემ". ფესტივალისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, რომელმაც მთავარი პრიზიც დააწესა. ცხადია, სხვა პრიზებიც უამრავი იყო, იყო ფასიანი საჩუქრები, მათ შორის წიგნები. ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყველაფერი გააკეთეს აგრეთვე თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლის დირექტორმა გიორგი ჩოკოშვილმა და ტურნირის დირექტორმა, ეროვნულმა ოსტატმა, ეროვნული კატეგორიის მსაჯმა ამირან ბერძენიშვილმა.

---

*სპორტი ყველასათვის!*

## საბურთალოს რაიონის სპორტული ცხოვრება 2000 წელს

დედაქალაქის ეს რაიონი 2000 წელს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. მოსახლეობას შორის მასობრივი სპორტის დანერგვისათვის თბილისის მთავრობის 1999 წლის 16 სექტემბრის დადგენილების შესასრულებლად. ჯერ კიდევ 1999 წლის ბოლოს შეხვედრა მოუწყვეს 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში სოფიკო ხუხაშვილს, რომელმაც ერთდროული სეანსიც ჩაატარა და ყველა პარტია მოიგო. შემდეგ ჩატარდა ომისა და შრომის ვეტერანთათვის შეჯიბრებები ნარდში, ჭადრაკში, შაშში და დარტში, რომელშიაც რაიონის გამგეობის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.



***2000 წლის იანვარი.*** კარატეში რაიონის ნაკრებმა გუნდმა ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა, მოიპოვა სამი პირველი, ამდენივე მეორე და ერთი მესამე ადგილი. ***თებერვალი.*** რაიონის 131-ე სკოლის გოგონათა გუნდმა III ადგილი დაიკავა ფეხბურთელთა საქალაქო ტურნირში. ***აპრილი.*** ბაქოელ კარატისტებთან თბილისში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში რაიონის წარმომადგენლებმა სამი პირველი და ოთხი მეორე ადგილი დაიკავეს. ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება პოლიატლონში, რომელშიაც 200-ზე მეტი რაიონის მკვიდრი მონაწილეობდა. ***ივნისი.*** ჩატარდა არდადეგებზე შინ დარჩენილ და ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა შეჯიბრებები ფეხბურთში, ბაგირის გადაძალვაში და მძლეოსნობაში. ***აგვისტო.*** სოფ. მისაქციელში იგივე კატეგორიის მოზარდებისთვის მოეწყო ტურისტული ლაშქრობა. ***სექტემბერი.*** მონაწილეობა მასობრივ გარბენში „გულის მსოფლიო დღე". ***ოქტომბერი:*** თბილისობასთან დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრებები ფეხბურთში, კარატეში, ჭადრაკში.

რაიონმა ქველმოქმედებითაც გამოიჩინა თავი: მოჭიდავეებს სავარჯიშო ადგილი გამოუყვეს 107-ე სკოლის დარბაზში (დირექტორის შემწეობით), მოჭადრაკე სოფიკო ხუხაშვილს გაეწია ფინანსური დახმარება. უკვე შემუშავებულია 2001 წლის ღონისძიებათა კალენდარი.



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

# მერაბ ჟორდანია საბურველს ხსნის სფფ-ს ყველა „საიდუმლოს"!

*პირველი გვერდიდან*

როგორც მ. ჟორდანიამ თქვა, ადგილის საკითხი გადაწყვეტილია: ოთხი ჰექტარი ფართობი საამისოდ საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა გამოჰყო თავისი ტერიტორიიდან იჯარით 99 წლის ვადით, რაშიც დიდია უნივერსიტეტის რექტორის ა. ქარქაშაძის, მცხეთა-თიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის კ. ბუჩუკურის, მცხეთის გამგებლის ა. კანდელაკის, მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ზ. გეგეჭკორის წვლილი. ხელშეკრულება გაფორმებულია, გამოინახება მშენებელი და საქმეს ახალი წლის პირველ კვარტალში შეუდგებიან. ჯერჯერობით, 700 ათასი აშშ დოლარის გრანტია გამოყოფილი პირველი რიგის სამუშაოების ჩასატარებლად, რომელიც 40-ადგილიან სასტუმროსაც ითვალისწინებს.

***როგორ აფასებს მ. ჟორდანია ეროვნულ ჩემპიონატს?*** „ჩემპიონატი გაუმჯობესდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დიდი ძვრა მოხდა სათამაშო კლასში, თუმცა ის, რომ ჩემპიონატი დაძაბულად მიმდინარეობს, ყველა კარგად ხედავს. არ შეიძლება ამან არ იმოქმედოს ფეხბურთელთა კლასის ამაღლებაზე. სასიამოვნოა, რომ ჩვენი კლუბებიდან რამდენიმე ფეხბურთელი მოხვდა ეროვნულ ნაკრებში".

***სად ითამაშებს ეროვნული ნაკრები?*** „თბილისის მერიასთან ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. თუ განათების საკითხის მოგვარება ვერ მოესწრება, მოვილაპარაკეთ, რომ განათების კომპლექტს უცხოეთში ავიღებთ იჯარით, ცხადია, დროებით".

***ვისთან ვითამაშებთ რუმინელებთან მატჩამდე?*** „ჯერჯერობით უკრაინასთან გვაქვს შეთანხმება 14 თებერვლისთვის. ალბათ, გვექნება საშუალება ნაკრებს თბილისში მატჩამდე ერთი კვირით ადრე ჩავუტაროთ შეკრება. გამოიცდებიან ახალი ფეხბურთელებიც. კვიპროსის ტურნირში მონაწილეობის თავი, ალბათ, აღარ გვექნება".

***თბილისის „დინამოს" შესახებ.*** „ვერ გავიზიარებ და ვერ დავეთანხმები სამთავრობო სხდომაზე გამოთქმულ შეფასებას, კლუბში კორუფციაა და ხელმძღვანელები თანხებს ითვისებენ. ვფიქრობ, რომ ამით ზეწოლა მოხდა სასამართლოზე, რომელიც ბრალეულობის საკითხს იხილავს და განაჩენი ჯერ არ გამოუტანია, ფაქტობრივად, გამოძიება ხომ ისევ გრძელდება".

***რატომ ჰქონდა თბილისის დინამოს შვეიცარიის ბანკში ანგარიში და რატომ მიდიოდა იქ სატრანსფერო თანხები?*** „ეს მოხდა უეფას რეკომენდაციით და თანხებს ამ ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიურო აკონტროლებდა. ვერც იმ აზრს გავიზიარებ, რომ ამ თანხებს ვინმე ითვისებდა. არ უარვყოფ, რომ ბიუჯეტთან მიმართებაში იყო ლაფსუსები. როცა ფეხბურთელთა ყოველწლიური ანაზღაურება 100-150 ათას დოლარს აღწევდა წელიწადში, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გადახდა. მაგრამ ეს არ იყო კორუფცია. საერთოდ, ყველა ითვლის შემოსავალს და არ ითვალისწინებენ გასავალს, გაწეულ ხარჯებს, თუნდაც ჩარტერული რეისებით ფრენა ავიღოთ. ამასთან, სფფ-დან გადახდილია „მრეტების" ვალის ნაწილი — 60 ათასი დოლარი. მოწვეულ ფეხბურთელ დონტზე კი — 55 ათასი დოლარი გაიცა".

***საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის რეგისტრაციის შესახებ.*** „უკვე ექვსი თვეა ვლაპარაკობ და ოფიციალურადაც არაერთხელ განმიცხადებია, რომ აუცილებელი იყო რეგისტრაციაში კლუბის გატარება. ადრე, ფიფასთან შეთანხმებით გამონაკლისის სახით რეგისტრაციის გარეშე დავუშვით „დინამო" ჩემპიონატში სათამაშოდ. მოლოდინი, რომ კლუბი ლეგიტიმური გახდებოდა, გაგრძელდა და აგერ დღემდე მოვიდა. ფედერაციის ყველა მცდელობის რესურსი ამოიწურა და ყველანაირ პასუხისმგებლობას ვიხსნით მეც და ფედერაციაც. არ ვიცი, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას. ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამო" აცხადებს, რომ კლუბი მათი საკუთრებაა, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გასარკვევი ხომ უნდა გაირკვეს. მე შევხვდი შს მინისტრს და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, გამოსავალს ვერც ისინი პოულობენ, საერთოდ, კლუბის ირგვლივ შექმნილი პრობლემებიდან".

***ყიდულობენ თუ არა ძმები არველაძეები „დინამოს"?*** „თუ ეს მართლა სურთ ძმებ არველაძეებს, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ეს ვარიანტი ოპტიმალურია".

***„დინამოს" დამფუძნებელთა სასამართლო პროცესის შესახებ.*** „ეს სასამართლო პროცესი აბსურდად მიმაჩნია, საერთოდ, როცა საქმე ამ სახელოვან კლუბს ეხება, ყველა პრობლემას გუნდის სიყვარულით და იმ კუთხით უნდა მივუდგეთ, რაც მას სასიკეთოდ წაადგება. მერწმუნეთ, გამოსავალი ასე უფრო იოლად გამოინახება. „დინამოს" დამფუძნებლებს არანაირი პრეტენზიები არ ექნებათ, ოღონდ კლუბს ეშველოს".

***ფეხბურთელების კალაძისა და ხიზანიშვილის შესახებ.*** „დადის ხმები, რომ აურზაური კალაძის ირგვლივ ახლა იმიტომ ატყდა, რომ მისი ტრანსფერის ორმოცდაათი პროცენტი დინამოს ეკუთვნის. თქვენ მკითხეთ, რომ თავის დროზე კალაძესთან კონტრაქტი ჩემს მიერაა გაფორმებული „დინამოში". დიახ, ეს ასეა, მაგრამ ყველა კონკრეტულ კითხვაზე პასუხს მიიღებს კლუბის ლეგიტიმური ხელმძღვანელი, ვისაც ამის იურიდიული უფლება ექნება. ის გეტყვით, რომ კალაძის განწყობა სადღეისოდ სხვაგვარია. რამდენადაც ვიცი, მას გადაწყვეტილი აქვს დარჩეს კიევის „დინამოში". თუ რა იქნება ხვალ, ვერ გეტყვით. რაც შეეხება ხიზანიშვილს, ფიფადან მიღებული კონტრაქტის ფორმა „ლოკომოტივმა" წარმოგვიდგინა და ჩვენც ნოტარიუსით დამოწმებული უკომენტაროდ გავუგზავნეთ ფიფას. მე შევხვდი ხიზანიშვილის მამას და ვესაუბრე.

***გაუქმდება თუ არა ტრანსფერების სისტემა ევროპაში?*** „ტრანსფერების სისტემის გაუქმების საკითხი დგას დღის წესრიგში, მაგრამ დასადგენია, შეეხება თუ არა იგი ევროპის ყველა ქვეყანას, კერძოდ, ვინც ჯერ არ შედის ევროკავშირში. ბლატერმა განაცხადა: თუ ასეთ კანონს შეიმუშავებენ, ეს კანონი ალბათ, გავრცელდება ყველაზე, ჩვენ, ევროპაში ხომ ერთ ოჯახში ვცხოვრობთო".

მ. ჟორდანიამ ისიც თქვა, რომ სფფ ვეტერან ფეხბურთელთა მრავალ ოჯახს დაეხმარა მატერიალურად.

თ. თომაშვილი

# „ბენდელას თასი" „ნაძალადევმა" დაისაკუთრა

ნაძალადევის გუნდი ზედიზედ მეორედ გავიდა ფინალში და, შარშანდელთან განსხვავებით, ამჯერად სანუკვარი თასი დაისაკუთრა, მაგრამ ვიდრე ტურნირის ფინალზე ვიტყოდეთ, ბავშვთა და ვეტერანთა ტურნირების გამარჯვებულებს გავეცნოთ.

1989 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირი მოიგო საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" პირველმა გუნდმა (დირექტორი კახა ჭუმბურიძე). 6-გუნდიანი შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. პირველ და მეორე ადგილზე „საბურთალო"-1 და „შევარდენის" გუნდები გავიდნენ. ფინალში საბურთალოელების უპირატესობა აშკარა იყო და „შევარდენი" 5-0 დაამარცხეს. გამარჯვებულმა გუნდმა ტურნირის ყველა მატჩი მოიგო. შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი 13 გატანილი გოლით გახდა საბურთალოელი თორნიკე ხუთკუნჭულაშვილი.

ვეტერანთა ტურნირში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუნდმა იმარჯვა. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართული ფეხბურთის ჩინოსნებმა თბილისელი პოლიციელები 6-3 დაამარცხეს.

ძირითად ტურნირში მესამე ადგილისთვის მატჩში პირველლიგელმა „თბილისმა" ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს „ლოკომოტივს" შანსი არ დაუტოვა და ფავორიტი 8-1 დაამარცხა.

ფინალი კი მართლაც ტურნირის შესაფერისი გამოდგა. დაძაბულ, საინტერესო და ორმხრივ შეტევებში ფორტუნამ „ნაძალადევს" გაუღიმა. ჩინებულად ითამაშა გოჩა ჯამარაულმა, მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო დამატებით დროში საგოლე შეტევა ზუსტი, ჩვეული პასით წამოიწყო. ტურნირის საუკეთესო მწვრთნელის ვასილ მაისურაძის შეგირდებმა საწადელი აისრულეს და თასს დაეუფლნენ. ტურნირის ორგანიზატორებმა და სპონსორებმა ინდივიდუალური პრიზები 8 ნომინაციაში ჩამოარიგეს.

საუკეთესო მეკარე გახდა ***ზვიად კუპატაძე (თბილისი)***, საუკეთესო მცველი — ***შალვა ხუჯაძე*** (ჩემპიონი), ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი მიიღო ***გიორგი ანჩაბაძემ*** (ბენდელა-მორკინალი). თავდამსხმელი — ***გოჩა მოსულიშვილი*** (ნაძალადევი), ლამაზი გოლის პრიზი ***ვალერი გაგუას*** (თბილისი) გადასცეს, საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა გამარჯვებული გუნდის „ნაძალადევის" თავკაცი ვასილ მაისურაძე. „ბენდელას თასის" მე-9 გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად ფინალისტის „ჩემპიონის" თავდამსხმელი ***დავით მუჯირი*** აღიარეს. დავით მუჯირმა: როგორც ტურნირის ბომბარდირმა (8 გოლი) მეორე პრიზიც მოიპოვა.



ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი დავით მუჯირი

### ტურნირის ტექნიკური შედეგები:

***მეოთხედფინალები 26.XII***

**ლოკომოტივი** — დინამო (თბ) 4-1
**ნაძალადევი** — თსუ 2-0
**ჩემპიონი** — ლიდერი 5-2
**თბილისი** — ბენდელა-მორკინალი 1-0

***ნახევარფინალები 27.XII***

**ნაძალადევი** — თბილისი 2-1 (დამატებით დროში)
**ჩემპიონი** — ლოკომოტივი 4-2

***III ადგილი, 28. XII***

**თბილისი** — ლოკომოტივი 8-1

***I ადგილი, 28. XII***

**ნაძალადევი** — ჩემპიონი 2-1 (დ.დ.)

საბა ლომინაძე

# საუკუნე სანქციებით დასრულდა...



27 დეკემბერს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის მყუდრო კაბინეტმა მეოცე საუკუნეში უკანასკნელად უმასპინძლა სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომას. საუკუნე გასრულდა, კოლეგიის საზრუნავი კი იგივეა, რაც აქამდე იყო. დარღვევებიც ქართულ ფეხბურთში თითქმის არ იცვლება. ამა თუ იმ სათამაშო ეპიზოდს პრეზიდენტები, მწვრთნელები, ფეხბურთელები და მსაჯები თავისებურად აფასებენ. ყველა ცდილობს თავისი სიმართლე დაამტკიცოს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მსაჯები ზარალდებიან, უმეტესად, უსამართლოდ. აქედან გამომდინარე საახალწლო განწყობის მიუხედავად, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებიც საკმაოდ მკაცრი იყო.

პირველი ლიგის გუნდების – ზუგდიდის „დინამოსა" და ქობულეთის „შუქურას" კალენდარული მატჩი ზუგდიდელთა გუნდის პრეზიდენტის გელა ბუკიას უმსგავსო საქციელის გამო ჩაიშალა. მატჩის ბოლოს ქობულეთელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ამით უკმაყოფილო ბუკია მსაჯებს დაერია. მას მხარი პრეზიდენტის საქციელით პროვოცირებულმა მაყურებლების ერთმა ჯგუფმა და ყოფილმა პარლამენტარმა ბეჟან გუნავამ აუბეს. მატჩი აღარ დამთავრებულა. ის კი არა, „დინამოს" ფეხბურთელების ვაჟკაცობა რომ არა, შეხვედრის მსაჯებს მეშკოვს და მენთეშაშვილს, ალბათ, ბრბო გადათელავდა. კოლეგიამ ვერდიქტი ულმობელი გამოიტანა. გელა ბუკიას საერთოდ აეკრძალა ფეხბურთში მუშაობა, გუნდიც დაზარალდა – „დინამოს" დებულების თანახმად ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალა. კოლეგიამ რამდენიმე ინდივიდუალური სასჯელიც ჩამოარიგა. „თბილისის" ფეხბურთელმა იოსებ მანჭარაულმა 2 თამაშით დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ასევე ორ თამაშს გამოტოვებენ თსუელი კოტე გუგუნავა, რუსთაველი ალეკო ბუკია. ბოლნისელი ნუკრი მინდიაშვილი. სამგურალელი სამტრედიის „ოკეანეს" ფეხბურთელი ზაზა ჯიქიძე და ბესიკ ბერაძე თითო მატჩს ვერ ითამაშებენ. ბორჯომის „თორის" მეკარე ავთო ლაბაძე კი სამი თამაშის ტრიბუნიდან ყურებით „დატკბება".

საბა ლომინაძე

# სფფ-ს კომიტეტმა ათეულები დაასახელა

წელიწადი მიილია და სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა 1999/2000 წლების სეზონის მთავარი მსაჯებისა და თანამსაჯების საუკეთესო ათეულები დაასახელა. ათეულების გამოვლენისას მხედველობაში მიიღეს ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების შედეგები, თეორიული მომზადების შეფასება, მატჩების სირთულე და შეფასებები. სფფ-ს ხელმძღვანელებმა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა გაითვალისწინა საექსპორტო-საკვალიფიკაციო კომისიის მონაცემები და საუკეთესო მსაჯთა ათეულები ასეთი თანმიმდევრობით დამტკიცდა: ***მთავარი მსაჯები:*** 1. სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი), 2. მერაბ მალაღურაძე (თბილისი), 3. ლევან ფანიაშვილი (თბილისი), 4. ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი), 5. ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი), 6. ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი), 7. კახაბერ მესხი (ზუგდიდი), 8. ავთანდილ ორდინიძე (ონი). 9. დავით სანაია (სოხუმი), 10. პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი). ***საუკეთესო თანამსაჯები (ასისტენტები):*** 1. კობა გაბრიაძე (ქუთაისი), 2. ლევან მიქელაძე (სამტრედია), 3. გურამ ჩიგოგიძე (სამტრედია), 4. მამუკა ელიკაშვილი (თბილისი), 5. ზურაბ დოლიძე (თბილისი). 6. ავთანდილ სამხარაძე (სოხუმი), 7. გოჩა ცირდავა (გულრიფში), 8. ვახტანგ ჩოჩიშვილი (თბილისი). 9. გიორგი კაკაჩეიშვილი (ქუთაისი), 10. ზურაბ მენთეშაშვილი (თბილისი).

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ლიგა

### XVII ტური

დინამო (ზუგდიდი) — შუქურა (ქობულეთი) 0-3
(მატჩის ჩაშლის გამო მასპინძლებს წაგება ჩაეთვლათ).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია-ლოკ-2 | 17 | 10 | 4 | 3 | 25-20 | 34 |
| მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 25-13 | 33 |
| ცხინვალი | 17 | 10 | 2 | 5 | 40-19 | 32 |
| შუქურა | 17 | 9 | 3 | 5 | 23-14 | 30 |
| მეტალურგი | 17 | 8 | 6 | 3 | 26-15 | 30 |
| სამგურალი | 17 | 8 | 3 | 6 | 28-17 | 27 |
| დინამო (ზ) | 17 | 7 | 3 | 7 | 26-29 | 24 |
| თორი | 17 | 7 | 2 | 8 | 16-15 | 23 |
| კოლხეთი(ხ) | 17 | 4 | 5 | 8 | 11-20 | 17 |
| ივერია | 17 | 4 | 3 | 10 | 11-28 | 15 |
| ოკეანე | 17 | 3 | 3 | 11 | 15-33 | 12 |
| თბილისი | 17 | 3 | 1 | 13 | 7-30 | 10 |




KEEPING IT IN THE FAMILY

Guram Askarogli, a former FIFA assistant referee, referees matches at regional

## ოჯახური ტრადიცია გრძელდება

*ეს ამბავი თავის მკითხველებს აუწყა უეფას დეკემბრის თვის ბიულეტენმა „UEFA flash"-მა. ფიფას ასისტენტს, ქართველ გურამ ასკარ-ოღლის საქართველოს რეგიონალური ჩემპიონატის მატჩებში ეხმარებიან... თავისი შვილები!*

## ბუფონა ჭამს ესპანურ პურს, ბოდო?

ესპანეთის რადიომ წლის ყველაზე არარენტაბელურ მოთამაშად დაასახელა მადრიდის ს.კ. „რეალის" მეკარე ბოდო ილგნერი. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი უკვე ათ თვეზე მეტია ზის სათადარიგოთა სკამზე. ბოლოს ილგნერმა „რეალის" შემადგენლობაში 2000 წლის თებერვალში ითამაშა, მიუხედავად ამისა, მას რეგულარულად უხდიან თვეში 3 მილიონ 200 ათას გერმანულ მარკას.

## გასპარტი: „ბარსას" არასოდეს უფიქრია ბექჰემის შეძენა

ბოლო ხანს ესპანეთში ხმები დაირხა — კატალონური კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს ყიდულობსო. ამის საპასუხოდ „ბარსას" პრეზიდენტმა გასპარტმა სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც სიცხადე შეიტანა შექმნილ სიტუაციაში: „ჩვენ არასოდეს გვიფიქრია დევიდ ბექჰემის შეძენაზე. „ბარსელონა" დღესდღეობით არ განიცდის შემტევი ფეხბურთელების სიმცირეს. მთავარი საფიქრალი მეკარე და დაცვითი ხაზია. კარლოს პუიოლი და აბელარდო ტრავმირებულნი არიან და ამ სეზონში მათი თამაში სათუოა, ვერც მეკარეები — დუტრუელი და არნაუ ამართლებენ ჩვენს იმედებს".

## გადავა ოვერმარსი „ლაციოში"?

იტალიის ჩემპიონი „ლაციო" სერიოზულად დაინტერესდა ესპანური „ბარსელონასა" და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელის მარკ ოვერმარსის შეძენით. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იტალიური და ესპანური კლუბების პრეზიდენტები ამ საკითხზე ერთმანეთს იანვარში შეხვდებიან.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ 27 წლის ოვერმარსი კატალონურმა კლუბმა რამდენიმე თვის წინ გადმოიყვანა ლონდონის „არსენალიდან". მასთან ერთად „ბარსამ" ფრანგი ემანუელ პეტიც გადაიბირა. ორივე ექს-მეთოფემ ესპანური გუნდის შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.



## ბატისტუტამ ფეხბურთის თამაშს არგენტინაში დავამთავრებო

„ბატი-გოლმა" „გაძეტა დელო სპორტში" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „რომასთან" კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულში მიმთავრდება. ამ დროისათვის ფეხბურთისათვის, ალბათ, ხანდაზმული ვიქნები. ამიტომ გადავწყვიტე ამის შემდეგ ევროპიდან სამშობლოში დავბრუნდე და კარიერა „ბოკა ხუნიორსში" დავასრულო".

## „არსენალი" ეძებს მეკარეს

ჩემპიონთა ლიგის მომავალი თამაშების წინ მოსკოვის „სპარტაკის" მოწინააღმდეგე ლონდონის „არსენალი" ეძებს საიმედო მეკარეს.

მთავარ კანდიდატად ითვლება 27 წლის მეტიუ კლარკი „ბრედფორდიდან". ეს მეკარე შესანიშნავად თამაშობს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დაიბნა, „ჩელსისთანაც" გააბა მოლაპარაკება და „ნიუკასლ იუნაიტედთანაც" როგორც „ბრედფორდ სიტის" მწვრთნელმა ჯიმ ჯეფერსმა განაცხადა, იგი თანახმაა დათმოს კლარკი, ოღონდ, ცხადია, „ისე იაფად არა". მწვრთნელი ასახელებს 5,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ასახელებენ აგრეთვე ფრიად საიმედო მეკარეს, ფაბიან ბარტეზის დუბლიორს საფრანგეთის ნაკრებში ულრიშ რამეს („ბორდო"), მაგრამ მას ერთი ნაკლი აქვს, უკვე ითამაშა „ბორდოში" ჩემპიონთა ლიგაში და „არსენალი" ამ შეჯიბრებაში უკვე ველარ გამოიყენებს.

## „ინტერს" ოუენი არ სჭირდება

მილანის „ინტერის" მეპატრონეებმა გადაჭრით უარყვეს ბოლო ხანს პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა ეს კლუბი ინგლისის „ლივერპულიდან" ყიდულობს ახალგაზრდა ფეხბურთელს მაიკლ ოუენს.

## კანის სარეკორდო „მშრალი" სერია სათანადოდ აღინიშნება

გერმანიის ქალაქ როტენბურგში 8 იანვარს „მსოფლიო ფეხბურთის დღეს" ზეიმობენ. მასზე გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით, რომელიც მან „მშრალი" სერიისთვის მოიპოვა: 1998 წლის 4 დეკემბრიდან 1999 წლის 3 აპრილის ჩათვლით კანმა 736 სათამაშო წუთის მანძილზე საკუთარ კარში გოლი არ გაუშვა.

## კლეშჩენკო საუკეთესოა მოლდავეთში

მოლდავეთის №1 ფეხბურთელად 2000 წლის შედეგების მიხედვით გამოცხადდა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი სერგეი კლეშჩენკო, რომელიც ისრაელის „მაკაბიში" (ჰაიფა) გამოდის. 1999 წელს მან ისრაელის ლიგაში 21 გოლი გაიტანა და ამრიგად, მეორე ბომბარდირი გახდა.

კლეშჩენკო მეორედ გამოაცხადეს წლის ლაურეატად (პირველად ეს მოხდა 1994 წელს). ახლა მას საგრძნობლად ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული ნახევარმცველი ბორის ჩებოტარი (კიშინიოვის „ზიმბრუ"), მესამეზე კი რამენსკოეს „სატურნის" მცველი ანდრიან სოსნოვსკი.

## ვიალი „იუვენტესზე" ოცნებობს

ინგლისური „ჩელსის" ექს-მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა იტალიის „იუვენტუსში": „ერთი წუთით არ დავფიქრდები და თანხმობას ვიტყვი „ბებერი ქალბატონის" მოწვევაზე, თუ კი ასეთი იქნება".

## უზრდელობა არავის ეპატიება!

საქმე აშკარა უთანხმოებამდე მივიდა, ერთი მხრივ, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობასა და, მეორე მხრივ, ამ გუნდის კაპიტანს, 32 წლის ნახევარმცველ შტეფან ეფენბერგს შორის, რომელიც მაინცდამაინც დიდი ზრდილობით არასოდეს გამოირჩეოდა.

საქმე კი აი რაში იყო. საზეიმო საღამოზე, რომელიც „ბაიერნმა" შობის აღსანიშნავად გამართა, მოთამაშეები კარგად ჩაცმულები მოვიდნენ, როგორც წესი და რიგია, სმოკინგებში გამოწყობილნი, ბანტებით.

ამ დროს მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს, რომელიც უზადო ჯენტლმენად ითვლება, პირდაპირ ელდა ეცა. ეფენბერგი საზეიმო საღამოზე გამოცხადდა კავბოური ჩექმებით და ტყავის ინდური შარვლით, ერთი სიტყვით, აშკარად უზრდელად მოიქცა.

— მაგას ჩვენ კარგ გაკვეთილს ჩავუტარებთ. ამ საქციელის უპასუხოდ დატოვება ნამდვილად არ შეიძლება — განაცხადა ჰიტცფელდმა.



## ჩეხებმა მასოპუსტის დამსახურება აღნიშნეს

ლეგენდარული ნახევარმცველი იოზეფ მასოპუსტი დასახელებულია ჩეხეთის საუკუნის რჩეულ ფეხბურთელად.

## ბავშვთა ფეხბურთი

## „ბერმუხა" სახელს ამართლებს

თბილისის სამგორის რაიონში ვარკეთილი 3-ის III მიკრორაიონში მდებარე საფეხბურთო კლუბ „არეალის" ინიციატივით ჩატარდა საქალაქო საკლუბო ტურნირი 1986-87 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ტურნირი 10 დღეს გრძელდებოდა. მონაწილეობდა 12 გუნდი, რომლებიც სამ ჯგუფად ჩაებნენ ასპარეზობაში.

*I. ჯგუფი: „არგო", „ავაზა", „მერანი-1", „არეალი".*
*II ჯგუფი: „ლომები", „ვარკეთილი", „შევარდენი", „ბერმუხა-2".*
*III ჯგუფი: „ბერმუხა-1" „ვაკე—I", ვაკე-II", „მერანი-2".*

ქვეჯგუფში გამარჯვებულმა ოთხმა გუნდმა ფინალურ ეტაპზე იასპარეზა. ფინალში კი „ბერმუხა-1"-მა (მწვრთნელი ალეკო ჩადუნელი), დაამარცხეს „არგო" ანგარიშით 1-0.

II ადგილისათვის ბრძოლაში მოედნის მასპინძელმა „არეალმა" პენალტებით აჯობა „ლომებს". საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ სპეციალური პრიზები.







## „აკადემიკოსებმა" ყველას აჯობეს

ბავშვთა ფეხბურთის აკადემია სულ სამი თვის გახსნილია (მისი პრეზიდენტია გურამ ძაგანია, დირექტორი — თამაზ ჯაში). მიუხედავად ამისა, აღსაზრდელებმა უკვე მოასწრეს თავის გამოჩენა. ეს ეხება აკადემიის 1990 წელს დაბადებულთა გუნდს (მწვრთნელები სოსო მუხიგულაშვილი და გიორგი ქვრივიშვილი), რომელმაც ამ დღეებში ბორის პაიჭაძის ხსოვნის ტურნირი მოიგო.

ამ ასპარეზობაში მონაწილეობდა 12 გუნდი. ნახევარფინალში „მერანმა" სძლია „ვაკე-91"-ს ანგარიშით 5-3, ხოლო „აკადემიამ" — „მართვეს" — 2-0. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ბავშვთა ფეხბურთის აკადემიისა და „მერანის" (მწვრთნელი დავით ძაგანია) გუნდები. დაძაბულ შეხვედრაში იმძლავრეს „აკადემიკოსებმა" და, ცხადია, ბორის პაიჭაძის სახელობის თასსაც ისინი დაეუფლნენ.

ტურნირის თავგამოჩენილი ფეხბურთელები გახდნენ და სამახსოვრო პრიზები გადაეცათ: „საუკეთესო მოთამაშის" — ნიკოლოზ მახვილაძეს („აკადემია"), „საუკეთესო მეკარის" — აკაკი გრძელიშვილს („აკადემია"), „საუკეთესო ნახევარმცველის" — გიორგი ქანთარიას („მართვე").



*სურათზე: ბორის პაიჭაძის ხსოვნის ტურნირში გამარჯვებული ბავშვთა ფეხბურთის აკადემიის გუნდი. უკანა პლანზე დგანან მწვრთნელები (მარცხნიდან) — ქვრივიშვილი და მუხიგულაშვილი.*




გიორგი დემეტრაძე:

# აქ კერძებიც ისეთივე ცხარე უყვართ...

ჭეშმარიტად გამოუცნობია საფეხბურთო ცხოვრება, ზოგჯერ იგი ისეთ სიურპრიზებს გვთავაზობს, სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენთ. თუ ნამდვილი პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ, ყოველთვის მზად უნდა იყო, რომ ფორტუნამ, შეიძლება, უცებ აღმოსავლეთ ევროპიდან შორეულ დასავლეთში გიკრას თავი, ისე, როგორც ამ დღეებში კიევის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს გიორგი დემეტრაძეს დაემართა.

ჩვენი სატელეფონო საუბარი „დემესთან" სწორედ 19 დეკემბრის გახსენებით დაიწყო.

— არაფრით გამორჩეული დღე იყო, თითქოსდა. კონჩე-ზასპეში, კიევის „დინამოს" ბაზაზე ვვარჯიშობდი თანაგუნდელებთან ერთად. მოულოდნელად გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი მომიახლოვდა, გვერდზე გამიხმო და მითხრა — სასწრაფოდ აიკარი გუდა-ნაბადი, ესპანეთში, „სოსიედადის" ვარიანტი გამოჩნდა, კლუბებმა უკვე მოვილაპარაკეთ, თუ პირადი კონტრაქტის პირობები დაგაკმაყოფილებს, იქ დარჩი, თუ არადა, უკან დაბრუნდიო. მეც ერთ საათში გზას გავუდექი...

● **როგორ თუ ერთ საათში, ამხელა გზაზე ერთი საათი გასამგზავრებლად საკმარისია?**

— როცა ასეთი დონის კლუბებში თამაშობ, ყველაფრისთვის უნდა იყო მზად, ასე ვთქვათ, ჩემოდანზე იჯდე. იმავე საღამოს უკვე პარიზში ვიყავი, იქიდან კი ბასკეთის ქალაქ სან-სებასტიანში ჩავფრინდი.

● **ეს 20-ში დილით მოხდებოდა, ალბათ.**

— დიახ, ოთხშაბათი დღე იყო. „რეალ-სოსიედადის" წარმომადგენლები აეროპორტში დამხვდნენ და სასტუმროში წამიყვანეს. ერთი-ორი საათი დავისვენე და ნაშუადღევს უკვე კლუბის ბაზაზე დეტალური სამედიცინო შემოწმება გავიარე. მერე „სოსიედადის" მეპატრონეებიც გამოჩნდნენ და შევსებული კონტრაქტი დამიდეს ხელმოსაწერად.

● **კარგი პირობები შემოგთავაზეს, ალბათ, ვინაიდან იმავე დღეს გააფორმეთ ხელშეკრულება.**

— ასეც იყო, კონტრაქტში ყველაფერი გათვალისწინებულია — ბინა, გაცილებით მაღალი გასამრჯელო, ვიდრე კიევში მქონდა, დიდებული საყოფაცხოვრებო პირობები. თან ისიც დაუმატეთ, რომ ირგვლივ შესანიშნავი გარემოა: კლიმატიც ჩვენებურს ჰგავს, გულთბილი ხალხი, კერძებიც ისეთივე ცხარე უყვართ, მოკლედ, საქართველოში მეგონა თავი.

● **არცაა გასაკვირი, აკადემიკოს ნიკო მარის იაფეტიკური თეორიის მიხედვით, და ამას ბევრი ენათმეცნიერიც იზიარებს, ბასკები და ქართველები ერთი შტოდან წარმოქმნილი ხალხია.**

— ამაზე, ცხადია, აქაც იციან, ისიც კი გაიხსენეს, ომამდე ბასკეთის ნაკრებს თბილისში უთამაშია. სხვათა შორის, კარგად რომ დაუკვირდე ბასკური ენა რაღაცით მეგრულს წააგავს.

● **კვლავ საფეხბურთო თემას დავუბრუნდეთ, კიევის „დინამომ" თქვენს სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი მიიღო?**

— (იცინის) აბა, რა ვიცი, ძალზე დიდი თანხა კი დასახელდა ესპანურ ფულზე და გაცილებით ნაკლები ამერიკულზე (900 მილიონი პესეტა ანუ თითქმის 5 მილიონი დოლარი). ის კი ნაღდია, რომ აქამდე თავისი არსებობის მანძილზე „სოსიედადს" ამხელა თანხა ფეხბურთელში არ გადაუხდია.

● **რატომ, ხოხლოვის ტრანსფერიც ხომ ამდენი ღირს?**

— აქაურებმა მითხრეს — შენი გადმობირება ხოხლოვზე, თითქმის 100 მილიონი პესეტით მეტი დაჯდაო. რაკი „სოსიედადის" ლეგიონერებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გეტყვით, ჩემს თანაგუნდელებს დიმიტრი ხოხლოვს და ლიტველ ედგარას იანკაუსკასს მხოლოდ გუშინღა შევხვდი, ვინაიდან მოთამაშეები, საშობაო არდადეგებთან დაკავშირებით, ხუთდღიან შვებულებაში იმყოფებოდნენ, ჩვენი შეხვედრა საკმაოდ გულთბილი გამოდგა.

***გაზეთი „მარკა", 22.12.2000***

***„სოსიედადის" სარეკორდო ტრანსფერი***

***დიმიტრი ხოხლოვი: გიორგი დემეტრაძეს საშობაო არდადეგების შემდეგ შევხვდები. მისი გადმოსვლის შესახებ მხოლოდ სამი დღის წინ შევიტყვე. დემეტრაძის თამაში ორჯერ ვნახე — მადრიდის „რეალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ. ქართველმა ფეხბურთელმა ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მწამს, რომ „სოსიედადში" იგი მალე გაივლის საადაპტაციო პერიოდს და მხარში ამოგვიდგება, რათა ერთობლივი ძალებით გადავარჩინოთ გუნდი პრემიერადივიზიონიდან გავარდნას. აწი, ალბათ, მწვრთნელები სათამაშო ტაქტიკას შეცვლიან და წინა ხაზში ორი თავდამსხმელით — იანკაუსკასი-დემეტრაძის დუეტით წარვსდგებით.***

***ედგარას იანკაუსკასი: დემეტრაძის „სოსიედადში" გადმოსვლა ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. იგი მწვავე შეტევების სული და გული იყო ლიტვა-საქართველოს ამასწინანდელ მატჩში, როდესაც კავკასიელებმა დიდი ანგარიშით მოგვიგეს. ასე რომ, ჩემს თავზე გამოვცადე როგორია გიორგის წინააღმდეგ თამაში. ვეთანხმები ხოხლოვს, ამიერიდან, ალბათ, „სოსიედადი" წინ ორი თავდამსხმელით იასპარეზებს.***

● **გიორგი, მოდით გამოტყდით, ბოლოს ოქტომბერში რომ იყავით თბილისში, თქვენს მონა-მორჩილთან განაცხადეთ — ჩემით რამდენიმე ესპანური გუნდია დაინტერესებულიო, იცოდით „სოსიედადის" მეპატრონეთა განზრახვის შესახებ?**

— გულწრფელად გეტყვით, კონკრეტული ინფორმაცია არ გამაჩნდა, კიევის დინამოელთა მწვრთნელებთან მხოლოდ ზოგადი ლაპარაკი მქონდა, ისევე, როგორც კახი კალაძეს, მისი „მილანში" გადასვლის თაობაზე. ჰო, მართლა, კალაძის შესახებ ნამდვილ ამბავსაც გეტყვით — რაკი შევჩენკოს „გაევროპელება" უკვე გადაწყდა, კალაძეს ერთ თვეში სერია „A"-ში იხილავთ.

● **გულწრფელად გვიპასუხეთ, ასე მოულოდნელად რატომ შეგელიათ კიეველთა თავკაცი ვალერი ლობანოვსკი?**

— აბა, რა გითხრათ, თავად იცით, რომ ლობანოვსკის გეგმებში სულაც არ იჯდა ჩემი მოშორება. პირიქით, წლის ბოლოს, სანამ შვებულებაში გავიდოდა, ოფიციალურად აცხადებდა, რომ გაისადაც ჩემს იმედად იყო, მაგრამ, ეტყობა, მერე გეგმები შეეცვალა. კიეველებმა ახალი გუნდის შექმნა დაიწყეს, რამდენიმე რუმინელი, ბულგარელი და ნიგერიელი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს. მიუხედავად ჩემი უკრაინიდან წამოსვლისა, იქ გატარებული დრო კარგად მახსენდება. განსაკუთრებით ისევ და ისევ ლობანოვსკის მადლიერი ვარ, იგი დიდებული პიროვნება და მწვრთნელია.

● **7 იანვრამდე ესპანეთის ჩემპიონატში შესვენებაა, როგორ გამოიყენებთ ამ დროს?**

— პირადად მე, ცალკე მწვრთნელი მომიჩინეს და ინდივიდუალური პროგრამით ვემზადები. გუშინ (ლაპარაკია 26 დეკემბერზე — ჯ.ჭ.) წვრთნა ჩემმა თანაგუნდელებმაც განაახლეს. ისინი ძალიან მონდომებულები არიან რაც შეიძლება მალე გამოიყვანონ „სოსიედადი" კრიზისიდან. 7-ში „სარაგოსას" ვეთამაშებით. თუ კლუბის მწვრთნელები გადაწყვიტავენ, რომ მზად ვარ მოედანზე გასასვლელად, შემადგენლობაში დამაყენებენ და მეც ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა პირველივე სადებიუტო მატჩში გამოვიჩინო თავი.

● **მწვრთნელებიო, ახსენეთ, მთავარი მწვრთნელი ამ დღეებში გადამდგარა.**

— დიახ, პერიკო ალონსო, რომელმაც ოქტომბერში შეცვალა ესპანეთის ეროვნული ნაკრების ექს-მწვრთნელი ხავიერ კლემენტე, ამ დღეებში საკუთარი ნებით გადადგა. იგი მე არ მინახავს, მაგრამ გადმოცემით ვიცი, კარგი პიროვნება იყო. თუ ვინ შეცვლის მას, ამ დღეებში გახდება ცნობილი. ისე, სიმართლე გითხრათ, ძნელი საპოვნელი იქნება კაცი, რომელსაც სურვილი ექნება ლიგიდან გასავარდნად განწირული გუნდი ჩაიბაროს.

● **გიორგი, თქვენი კონტრაქტი „სოსიედადთან" 2004 წლის 30 ივნისამდე იმოქმედებს. ნუთუ იქამდე აპირებთ ამ მაჩანჩალა გუნდში თამაშს?**

— რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ სწორად მოვიქეცი. სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრი ნაადრევია. მთავარია, „სოსიედადს" წელს ლიგიდან გავარდნა ავაცილოთ. ამასობაში შევეცდები, ავტორიტეტიც მოვიხვეჭო, აგერ „რეალთან", „ბარსელონასთან", „ვალენსიასთან" და სხვებთან ჭიდილში ამის შესაძლებლობა მომეცემა, მერე ვნახოთ...

● **სათამაშო სტილით, მგონი, არ უნდა გაგიჭირდეთ ესპანურ ფეხბურთთან შეგუება.**

— მეც ასე ვფიქრობ. ესპანელები ღია, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, ყველა იმაზე ოცნებობს, რომ გოლი გაიტანოს, ეს კი ნამდვილად ჩემი სტილია.

● **ამბობენ, ბასკური გუნდი თქვენით მაშინ დაინტერესდა, მადრიდის „რეალთან" რომ ითამაშეთ.**

— იმ მატჩს სიამოვნებით ვიხსენებ. ესპანეთის ჟურნალ-გაზეთებმაც მაღალი შეფასება მისცეს ჩემს თამაშს. სხვათა შორის, სან-სებასტიანშიც, იქაურ გულშემატკივრებს ახსოვთ ის შეხვედრა, მოწონების ნიშნად მხარზე ხელს მირტყამდნენ და მეუბნებოდნენ — საბრალო იეროს რა დღე აყარეო!



ჩემპიონთა ლიგა. მადრიდი. „რეალი" — „დინამო" (კიევი) 2-2. გიორგი დემეტრაძის (მარცხნივ) და ბრაზილიელი რობერტო კარლოსის ორთაბრძოლა ბურთისათვის.

● **გაგიჭირდებათ ესპანური ენის შესწავლა?**

— არა მგონია, კლუბი ამ დღეებში სპეციალურ პედაგოგს დამიქირავებს და, ალბათ, ერთ-ორ თვეში „საყველპურო" სიტყვათა მარაგს დავეუფლები. ისე, გახსოვთ, ალბათ, ჰოლანდიაშიც ვიყავი და იქაც არ მიგრძვნია რაიმე დისკომფორტი.

● **მოდით, ახლა, ესპანეთიდან საქართველოში გადმოვინაცვლოთ. არ მოგენატრათ სამშობლო?**

— რომ გითხრათ, არ მომენატრა მეთქი, დამიჯერებთ? მიუხედავად იმისა, ვიმეორებ, ბასკეთში ლაღად ვგრძნობ თავს, სამშობლო სულ სხვაა. იქ არიან ჩემი მშობლები, ნათესავები, ახლობლები, ყოფილი თანაგუნდელები, მწვრთნელები. მე მათზე ბევრს ვფიქრობ და რითაც შემიძლია, ყოველთვის დავეხმარები. განსაკუთრებით თბილად მახსენდება ჩემი პირადი მწვრთნელი-სელექციონერი ბესო კირვალიძე. მე რომ დღეს ამდენს მივაღწიე, მისი დამსახურებაცაა. სხვათა შორის, ამას წინათ შვებულებაში რომ ვიყავი, ფრაიბურგში ჩავაკითხე ჩვენს ლეგიონერებს და მათი აზრიცაა — კირვალიძე რომ არა, იქნებ დაკარგულებიც კი ყოფილიყვნენ დიდი ფეხბურთისათვის გიორგი ქინქლაძე, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე იაშვილი. მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, რომ გულშემატკივრებმა დიდად უნდა დააფასონ ქართველი მწვრთნელების გარჯა — მათ ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა.

● **ცხადია, საქართველოს ნაკრებზეც იტყვით ორიოდე სიტყვას.**

— დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის გუნდში, მოსვლით ნაკრებს ალმავლობა დაეტყო. რომ არა შვედი არბიტრის ცუდი მსაჯობა, ახლა შესარჩევ ჯგუფში, შეიძლება, ლიდერებიც ვყოფილიყავით. მაგრამ არა უშავს, წინ კიდევ რამდენიმე მატჩია ჩასატარებელი და ბიჭები ყველა ღონეს ვიხმართ, რომ იაპონია-კორეის საგზური მოვიპოვოთ. პირადად მე შევეცდები საუკეთესო ფორმაში შევხვდე რუმინელებთან მატჩს, რომელიც მარტში გაიმართება. მართლა, ხომ არ იცით, რომელ სტადიონზე ვითამაშებთ?

● **თბილისში, „ეროვნულზე".**

— სწორი გადაწყვეტილებაა. ამ მინდორს შეჩვეულები ვართ და ეს ჩვენი კიდევ ერთი კოზირი იქნება.

● **რას უსურვებდით დამდეგ ახალ წელს ქართველ გულშემატკივრებს?**

— პირად ბედნიერებას, სიმშვიდეს და მოთმინებას. ყველამ თავისი საქმე აკეთოს და, მჯერა, კიდევ არაერთხელ განმეორდება 13 მაისის დაუვიწყარი ღამე.

ესაუბრა
ჯემალ ჭიკაშვილი

***P.S. ეს ინტერვიუ 27 დეკემბერს ნაშუადღევს შედგა. იმავე საღამოს ინტერნეტის მეშვეობით რამდენიმე საყურადღებო ცნობა გავრცელდა. ჯერ ერთი, „სოსიედადის" კრებაზე დემეტრაძისათვის ოფიციალურად უბოძებიათ მაისური ნომერი 7. შემდეგ კლუბის მეპატრონეები ცალკე ჩაკეტილან და საკმაოდ დიდხანს უმსჯელიათ გუნდის მთავარი მწვრთნელის მომავალ კანდიდატურაზე. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბოლოოდ გამოირიცხა ცნობილი უელსელი მწვრთნელის ჯონ ტოშაკის ვარიანტი, სხვა კანდიდატურებიც დაუწუნებიათ. „სოსიედადს" დროებით უხელმძღვანელებს ცნობილი ბასკი მწვრთნელი იგნასიო გალო" — ეს განაცხადა მოგვიანებით კლუბის პრეზიდენტმა ლუის ურანგამ.***

## დარასელია-უმცროსი: ეს ტყუილია, რომ ჩემი დისკვალიფიკაცია უნდოდათ

**როდესაც შევიტყვე, მოსკოვის ოლქის „სატურნში" სინჯებზე იმყოფება ვიტალი დარასელია-უმცროსი, დაუყოვნებლივ გავემგზავრე რამენსკოეში. ჩვენი ხანმოკლე შეხვედრა „სატურნის" ბაზაზე შედგა.**

● ***თქვენ კვლავ კიევის არმიელთა გუნდს ეკუთვნით?***

— დიახ, ჩემი კონტრაქტის ვადა ამ კლუბთან ერთი წლის შემდეგ გადის.

● ***რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იტალიაში, სახელდობრ „რეჯინაში" იყავით სინჯებზე?***

— იტალიიდან 10 დღის ჩამოსული ვარ. „რეჯინა" სერია „A"-ში გამოდის და ძალიან მინდოდა ამ ლიგაში მეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში კიევის არმიელთა კლუბის ხელმძღვანელებმა ჩემი სატრანსფერო თანხა გაზარდეს, ამიტომ ტრანსფერი არ განხორციელდა.

● ***მერე ხმა გავრცელდა ურჩობისათვის კიევის კლუბი თქვენს დისკვალიფიკაციას აპირებსო.***

— ეს ტყუილია. რამდენადაც მივხვდი ეს დეზინფორმაცია სამარას „კრილია სოვეტოვის" გუნდმა გაავრცელა. სამარელებს ძალიან უნდოდათ მათთან გადავსულიყავი, ამიტომ, რათა კონკურენტები ჩამოეშორებინათ, ასეთი ამბავი გამოიგონეს. როდესაც ეს შემატყობინეს, დაუყოვნებლივ დავრეკე კიევში, იქ მითხრეს, რომ დისკვალიფიკაცია არ მემუქრებოდა.

● ***„სატურნში" გინდათ გააგრძელოთ კარიერა?***

— ამ გუნდში სიამოვნებით ვითამაშებ, ეგაა, ჯერჯერობით მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მსინჯავენ, ჩემი ადგილი კი თავდამსხმელთა უკანაა, მაგრამ არაფერია — თუ ნამდვილი ოსტატი ხარ, ყველგან უნდა შეგეძლოს თამაში.

● ***13 დეკემბერს, მამათქვენის დაღუპვის დღეს, თბილისში გაიმართა ხსოვნის საღამო.***

— მადლობა ყველას, ვისაც ახსოვს დარასელია-უფროსი, შევეცდები ღირსეულად გავაგრძელო მისი საქმე და სახელი გავუთქვა ქართულ ფეხბურთს.

ესაუბრა **არკადი სმირნოვი**
*მოსკოვი, „ლელოს" საკ. კორ.*

## ყაზახეთის მოქალაქე დავით ლორია სინჯებს მოსკოვის „ლოკომოტივში" გადის

„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტის არკადი სმირნოვის ცნობით, ამ დღეებში მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდი იტალიაში გაემგზავრება შეკრების გასავლელად. რკინიგზელთა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა გასასინჯ მოთამაშეთა სიაში სხვებთან ერთად ჩართო ყაზახეთის „ქენისისა" და ეროვნული ნაკრების 19 წლის მეკარე დავით ლორია. რამდენიმე თვის წინათ ეს მეკარე სინჯებზე გახლდათ ვოლგოგრადის „როტორში", ახლა კი იგი, დიდი შანსია „ლოკომოტივის" ძირითადი მეკარე გახდეს. შარშანდელ სეზონში დავით ლორიამ ასტანას „ქენისის" შემადგენლობაში ჩემპიონის ტიტული მოიგო და ყაზახეთის საუკეთესო გოლკიპერადაც აღიარეს.

# ვლადიმერ ბუტი ბუნდესლიგისა და „ფრაიბურგის“ შესახებ




როგორც დორტმუნდის „ბორუსიიდან“ „ფრაიბურგში“ გადასული რუსი ფეხბურთელი ვლადიმირ ბუტი თვლის, თუკი ადრინდელ ბუნდესლიგის პირველობას შარშანდელს შევადარებთ, აშკარაა მაყურებელთა ინტერესის ზრდა. ამაში გულშემატკივარი თვით დარწმუნდება, თუკი სატურნირო ცხრილს გადაავლებს თვალს. პირველი ადგილი უკანასკნელისგან სულ 16 ქულით არის დაშორებული, ეს კი სულ 5 მოგების ფასია.

ადრე სულ სხვანაირად იყო. ჩემპიონობისათვის სამი კლუბი თუ იბრძოდა, დანარჩენები კი თავიანთ ლოკალურ ამოცანებს წყვეტდნენ. ახლა არავის გაუკვირდება, უკანასკნელმა გუნდმა პირველს რომ მოუგოს. მაგალითის მოყვანა არ გაგვიჭირდება. როსტოკის „ჰანზამ“ მიუნჰენის „ბაიერნი“ დაამარცხა. რამდენიმე წლის წინათ ამას არავინ დაიჯერებდა. საქმე „ბაიერნის“ კლასის დაცემაში არ გახლავთ, პირიქით, ამ კლუბის თამაში ჩემპიონთა ლიგაში უფრო მის გაძლიერებაზე მეტყველებს. უბრალოდ, სხვა კლუბებმა დაიწყეს უკეთ თამაში. „ფრაიბურგს“ სტარტი არ გამოუვიდა, მაგრამ, თუკი ჩვენ სათანადოდ არ შეგვაფასა, აუცილებლად დაისჯება. ამის მაგალითია ჩვენი გამარჯვება ლიდერ „შალკე 04“-თან ანგარიშით 3-1. ჰუუბ სტევენსის („შალკეს“ მწვრთნელის) მოთამაშეები არაფერს ზებუნებრივს არ გვიჩვენებენ, დღეს ძალიან ბევრი რამ იღბალზეა დამოკიდებული, ეს იღბალი კი გელზენკირხენელებს სხვებზე მეტად ეხმარება. რა თქმა უნდა, ანდრეას მიოლერის გადასვლამ გუნდი აშკარად გააძლიერა, მაგრამ არა მგონია, რომ იგი ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტია. იგივე „ბაიერნი“ უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქ ეფენბერგი ჩვეული ძალით თამაშობს. ამ ორ წამყვან გუნდთან ერთად მომდევნო ფავორიტებად დავასახელებდი დორტმუნდის „ბორუსიას“ და ბერლინის „ჰერტას“. მართალია, ამ უკანასკნელმა უნდა დასძლიოს სხვისი მინდვრის კომპლექსი, სტუმრად რამდენიმე დამარცხებამ გამანადგურებელი ანგარიშით ძალზე გაუფუჭა „ჰერტას“ იმიჯი.

რაც შეეხება „ფრაიბურგს“, ჩვენ კარგი განწყობილებით წავედით საზამთრო შესვენებაზე, უკანასკნელ მატჩებში კლუბმა აშკარად გააუმჯობესა თამაში, ახლა დაწყნარებულად შეგვიძლია დავისვენოთ. ჩვენი გუნდი ახალგაზრდაა, საშუალო ასაკი 22-23 წელია. ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე რიხარდ ჰოლცთან ერთად, რომელიც ერთადერთია, ვინც 30 წელს გადააბიჯა, ჩვენ შეგვიძლია უეფას თასზე გამოსვლის უფლებისათვის ვიბრძოლოთ.

რომელმა მოთამაშეებმა გამოიჩინეს თავი პირველი წრის მსვლელობისას? ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობ, ჯერ ადრეა. შარშანდელ სეზონში თავი ისახელა ახალგაზრდა დაისლერმა „ჰერტადან“, მაგრამ ახლა იგი იმავე დონეზე ველარ თამაშობდა. ახლა კი ზოგი რამ სნაიპერთა დავის შესახებ. 13 გოლით პირველ ადგილზეა სანდი („შალკე-04“), 12 გოლი გაიტანა ბარბარესმა („ჰამბურგერ შპორტფერაინი“), 12 – აგოსტინომ („მიუნხენ 1860“), ნოივილმა (ლევერკუზენის „ბაიერი“), პრეეცმა („ჰერტა“) და ელბერმა („ბაიერნი“) – 9-9 გოლი. ა. არველაძემ („კიოლნი“) და იაშვილმა („ფრაიბურგი“) 3-3 გოლი გაიტანეს, კობიაშვილმა („ფრაიბურგი“) – 2, ბუტმა („ფრაიბურგი“) – 1.

## რობი ფაულერი, იცოცხლეთ, კარგია

როგორც ცნობილი გახდა, ლონდონის „ჩელსი“ თანახმაა „ლივერპულს“ რობი ფაულერში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს. „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ფიქრობს, როგორ მოიქცეს.

„ჩელსის“ მწვრთნელს, იტალიელ კლაუდიო რანიერის ჯერ რობი კანის შეძენა უნდოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი „ლიდს იუნაიტედში“ ჩაირიცხა, ახლა ყურადღება უკვე პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერ რობი ფაულერზე შეაჩერა. რამდენიმე კვირის წინ „ჩელსი“ სთავაზობდა „ლივერპულს“ ფაულერში 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს, მაგრამ „ლივერპულის“ ხელმძღვანელობამ მოფიქრებისათვის დრო ითხოვა.

„ჩელსის“ ხელმძღვანელობას ის აიმედებს, რომ „ლივერპულის“ მწვრთნელი, ფრანგი ჟერარ ულიე მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის პრემიერლიგაში ფაულერის ახლანდელი თამაშით. ჯერ იგი აპირებდა ფაულერი რობი კანში გაეცვალა, ახლა კი, როცა კანის მომავალი ბედი გაირკვა, ფრანგი აპირებს ფაულერის ნაცვლად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი დუაიტ იორკი იგდოს ხელთ.

## „შალკე-04“-ის სამი „კოზირი“

**თუმცა სეზონის დასაწყისში „შალკე 04“-ის მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი აცხადებდა, რომ მისი მიზანი პირველ ექვსეულში მოხვედრა იყო, ახლა კლუბი პირველ ადგილზეა, და, გარდა ამისა, უეფას თასის ნახევარფინალშიც გავიდა, „შალკე 04„ უკანასკნელად ჩემპიონი 1957-59 წლებში გახდა, ახლა კი, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ამ წოდების ერთ-ერთი პრეტენდენტია. გუნდის კოლექტიური თამაშის შესანიშნავი ორგანიზატორია 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი ანდრეას მიოლერი, რომელიც ამ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიიდან“ გადმოვიდა. ეს ერთი „კოზირი„. მეორეა მეტად დამაჯერებლად მოთამაშე, ბუნდესლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე ოლივერ რეკო, მესამე კი ჩინებული დანიელი თავდამსხმელი ებე სანდი, რომელმაც დღეისათვის უკვე 13 გოლი გაიტანა.**

## ამერიკელებმა ლამაზი ფეხბურთი ნახეს

**ტრადიციად იქცა, წლის ბოლოს ლოს-ანჯელესში იმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი არგენტინისა და მექსიკის ეროვნულ ნაკრებებს შორის. ასე იყო ამჯერადაც – ამერიკელებმა ლამაზი ფეხბურთი იხილეს. სამხრეთამერიკელთა უპირატესობა მთელი შეხვედრის მანძილზე აშკარა იყო. მათ ყოველ ტაიმში თითო გოლი გაიტანეს (სოლარი, 14, გალეტი, 82) და დამსახურებულად გაიმარჯვეს – 2-0.**



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლეგიონერები? რამდენიც გნებავთ!

ლიტვის ნაკრების ახალი ხელმძღვანელი, 56 წლის ბენიამინას ზელკიავიჩუსი, რომელმაც სტასის სტანკუსი შეცვალა, იწყებს თავისი გუნდის კანდიდატების შემოწმებას. მათ შორის უმეტესობა ევროპის სხვადასხვა კლუბებში მოთამაშე ლეგიონერებია. ესენია მცველები დარიუშ ქუტაუტასი (ვლადიკავკაზის „ალანია“) ტიმას ზვირგზდაუსკასი („პოლონია“, პოლონეთი), დაინიუს გლევეცკასი (დონეცკის „შახტარი“, უკრაინა) ნერიკუს რაძიუსი („ზაგლემბიე“, პოლონეთი), ანდრიუს სკერლა („დამფერმლაინი“, შოტლანდია), შუა ხაზის მოთამაშეები — დეივიდას შემბერისი (მოსკოვის „დინამო“), ტადას გრაჟიუნასი (დონის როსტოვის „როსტსელმაში“) ტომას რაჟანაუსკასი („ბრანი“, ნორვეგია), ორესტას ბუიტკუსი (რიგის „სკონტო“) დარიუშ მაციელევიჩუსი („რამატ განი“, ისრაელი), ტომას დანილიევიჩუსი (ლონდონის „არსენალი“), თავდასხმა — ედგარას იანაუსკასი (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“), არტურას ფომენკა (დონის როსტოვის „როსტსელმაში“), იგორას მორინასი („ჰანოვერი“, გერმანია), რობერტას ქვინგილასი (მოსკოვის „ტორპედო“) და სხვები.

ამათ გარდა, ცხადია, ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან ლიტვის სხვადასხვა კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები.

## ეს რა წვევა – გლეჯა იმართება!

**ვლადიკავკაზის „ალანიის“ ახალგაზრდა მეკარე ვენიამინ მანდრიკინი ახლა დიდად პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. მისი დაუფლება სურთ იტალიურ „ლეჩესა“ და „ბოლონიას“, გერმანულ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“, მოსკოვის „სპარტაკს“.**

**თვით მეკარე აცხადებს, რომ შეიძლება სხვა მიწვევებიც მოვიდეს, მაგრამ იგი, კონტრაქტის თანახმად, კიდევ ერთ წელს „ალანიაში“ გაატარებს.**

**— თქვენ ბევრი გაზეთი უკვე მომავალ სპარტაკელს გიწოდებს.**

**— ეს მხოლოდ ლაპარაკია და მე სერიოზულად არცკი უნდა მაღელვებდეს.**

**— ვთქვათ, საბოლოოდ თქვენ „ბოლონიაში“ აღმოჩნდით. იქ ხომ იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე ჯანლუკა პალიუკა თამაშობს. არ გეშინიათ კონკურენციისა?**

**— პირიქით, მე მიზიდავს კიდეც ასეთი სიტუაცია. კარგია: შემეძლება იტალიის 90-იანი წლების საუკეთესო მეკარისაგან ბევრი რამ ვისწავლო.**

## კუჩერევსკი „ტორპედო-ზილში“

31 დეკემბერს იწურება მთავარ მწვრთნელ ბორის იგნატიევის კონტრაქტი მოსკოვის „ტორპედო-ზილთან“, რომელიც ამ გამოცდილმა სპეციალისტმა ჯერ პირველ დივიზიონში მოამძლავრა, შემდეგ კი უმაღლესში გადაიყვანა.

ამის მიუხედავად კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს იგნატიევთან ხელშეკრულება აღარ განაახლონ. ჯერ ლაპარაკი იყო მთავარ მწვრთნელად ვალენტინ ივანოვის დანიშვნაზე, მაგრამ ივანოვი კლუბის ვიცე-პრეზიდენტად დარჩა, კლუბს კი სათავეში ევგენი კუჩერევსკი ჩაუდგა, რომელიც ვოლგოგრადის „როტორს“ გამოეთხოვა.

## პანუჩი „მონაკოში“ გადადის

**ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საფრანგეთის „მონაკო“ მილანის „ინტერისაგან“ ყიდულობს ცნობილ იტალიელ მცველს კრისტიან პანუჩის. პანუჩის სატრანსფერო ღირებულება 7 მილიონი დოლარია.**

## „ჩემზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. მე ამდენის ღირსი არა ვარ“

„კაიზერსლაუტერნის“ 22 წლის თავდამსხმელმა მიროსლავ კლოზემ უკვე სეზონის დასაწყისიდანვე მიიპყრო დიდი ყურადღება. იგი ძირითად შემადგენლობაში თითქოს შემთხვევით მოხვდა, როცა წამყვანი მოთამაშეები დაშავდნენ, მაგრამ ძალიან მალე პირდაპირ შეუცვლელი გახდა, თავისი გოლებით რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ბუნდესლიგის 15 მატჩში 6 გოლი გაიტანა, უეფას თასის 6 მატჩში — 2 გოლი. ამას დავუმატოთ გუნდის მეორე შემადგენლობაში გატანილი 16 ბურთი. კლოზეს დიდი სასტარტო სისწრაფე აქვს, ბურთს მოხდენილად ფლობს, გოლის გრძნობა ხომ პირდაპირ დიდებული აქვს.

თვით კლოზე საკმაოდ მოკრძალებულია: „ჩემზე ამ ბოლო ხანებში ნამდვილი ხმაურია ატეხილი. მე ამდენის ღირსი არა ვარ“.

## მბომას კონკურენტი არა ჰყავს

კამერუნელი პატრიკ მბომა აღიარებულია აფრიკის 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელად, მას „ოქროს ბურთიც“ გადაეცა. ასეთია ტრადიციული რეფერენდუმის შედეგები, რომელიც კაფ-მა (აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია) ჩაატარა. გამოკითხვაში სხვადასხვა საფეხბურთო კომიტეტის წევრები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

იტალიური „პარმის“ 30 წლის თავდამსხმელმა ხმების დიდი უპირატესობით გაუსწრო თავისივე თანამემამულეებს — ლორან ეტამე მაიერს, სამუელ ეტო-ოს და ჟერემი ნჟიტაპს. ეს ფეხბურთელები თებერვალში აფრიკის თასის მფლობელები, შემდეგ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ. შარშანდელი გამარჯვებული, ნიგერიელი ნვანკო კანუ ახლანდელ სიაში მეხუთეა.

— შესაძლოა, სწორედ ეს არის ყველაზე ბედნიერი მომენტი ჩემს კარიერაში, აგრეთვე ჩემი ქვეყნისა და ჩემი ოჯახისათვის — თქვა რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ მბომამ.

— პატრიკმა სავსებით დაიმსახურა ეს ჯილდო. ეჭვგარეშეა, მისი თამაში სამაგალითოა მთელი აფრიკული ფეხბურთისათვის. აღფრთოვანებული ვარ მბომათი — თქვა მისმა პარტნიორმა „პარმაში“, განელმა სტეფან აპიამ.

პატრიკ მბომა ქ. დუალაში დაიბადა. იგი სამი წლისაც არ იყო, როცა მშობლები საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. 9 წლისა საფეხბურთო სკოლაში შევიდა. 19 წლისა პსჟ-ში აღმოჩნდა, სადაც სამი წლის განმავლობაში დიდ ფეხბურთს ეუფლებოდა, პირველი პროფესიული კლუბი, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაში დაიწყო 1992 წელს, „შატორუ“ იყო. შემდეგ კვლავ პსჟ-ში დაბრუნდა, გამოდიოდა „მეცში“, „გამბა ოსაკაში“, „კალიარიში“, 2000 წლიდან „პარმაშია“.

აფრიკის 2000 წლის ფეხბურთელთა პირველი ათეული: 1 მბომა — 123 ქულა. 2. ლორან ეტამე მაიერი — 36. 3. სამუელ ეტო,ო — 29, 4. ჟერემი ნჟიტაპი — 27 (ოთხივე — კამერუნი) 5, ნვანკვო კანუ (ნიგერია) — 21, 6. ნურედინ ნაიბეტი (მაროკო) — 20. 7. ჰოსამ ჰასანი (ეგვიპტე) — 17. 8.შაბანი ნონდა (კონგო) 9-10 ჰანი რამზი (ეგვიპტე) და შონ ბარტლეტი (სამხ. აფრიკის რესპუბლიკა) — 10-10.

# სპორტული პლანეტა

## ნბა: ნილსენი მესამეა, დაეწევა რაილს?



სამზაო არდადეგების შემდეგ განახლდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პირველობა. ამ დღეს საყურადღებო ამბავი მოხდა: „დალასი" – „სიეტლის" მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს. „დალასის" მთავარი მწვრთნელის დონ ნილსენის კარიერაში ეს 945-ე წარმატებითი შეხვედრა გამოდგა. ნბა-ს ისტორიაში მწვრთნელთა შორის ეს მესამე მაჩვენებელია. ნილსენის წინ არიან მხოლოდ ისეთი შესანიშნავი დამრიგებლები, როგორიცაა ტორონტოელი ლენი უილკენსი (1192 მოგება) და მაიამელი პეტ რაილი (1012).

***დალასი – სიეტლი – 114:93***
ფინლი – 38, ნეში – 22, ნოვიცკი – 21; პეიტონი – 23, ბერი – 20.

***შარლოტი – კლივლენდი – 115:110 (ოვერტაიმში).***
უესლი – 32, მაშბერნი – 27; მილერი – 30, ჰარპრინგი – 25. შარლოტმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა.

***დეტროიტი – ბოსტონი – 101:96***
სტეკჰაუსი – 33, სმიტი – 20; უოკერი – 26.

***მილუოკი – ორლანდო – 89:77***
ალენი – 25; მაკგრეიდი – 26, არმსტრონგი – 20.

***მინესოტა – ტორონტო – 100:97***
ბრენდონი – 24, გარნეტი – 22; კარტერი – 32.

***სან-ანტონიო – ჰიუსტონი – 103:95***
დენიელსი – 26, დანკანი – 20, რობინსონი – 17; ფრენსისი – 21, მობლი – 17.

***დენვერი – კლიპერსი – 109:108***
მაკდაიესი – 35; ოდომი – 21.

***იუტა – ფილადელფია 91:97***
სტოკტონი – 19, რასელი – 17; მაკი – 24, კუკოჩი – 15. ტრავმირებული ალენ აივერსონის გარეშე „იუტას" ძალზე უჭირს. ალსანიშნავია, რომ ბოლო 13 სეზონის მანძილზე „ფილადელფიამ" პირველად გაიმარჯვა სტუმრად.

***ვანკუვერი – ფინიქსი – 95:97***
ბობი – 21, დიკერსონი – 19; კიდი – 28.

***ნიუ-ჯერსი – ატლანტა – 76:81***
ჯექსონი – 25, მარბერი – 19; რაიტი – 24, ტერი – 18.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 19 | 8 | 70,4 |
| ნიუ-იორკი | 16 | 12 | 57,1 |
| მაიამი | 15 | 14 | 51,7 |
| ორლანდო | 12 | 16 | 42,9 |
| ბოსტონი | 11 | 17 | 39,3 |
| ნიუ-ჯერსი | 9 | 19 | 32,1 |
| ვაშინგტონი | 5 | 23 | 17,9 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| შარლოტი | 20 | 9 | 69,0 |
| კლივლენდი | 15 | 11 | 57,7 |
| მილუოკი | 15 | 12 | 53,8 |
| ტორონტო | 14 | 14 | 50,0 |
| დეტროიტი | 13 | 15 | 46,4 |
| ინდიანა | 13 | 16 | 44,8 |
| ატლანტა | 10 | 18 | 35,7 |
| ჩიკაგო | 3 | 24 | 11,1 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 20 | 9 | 69,0 |
| სან-ანტონიო | 18 | 10 | 64,3 |
| დალასი | 19 | 11 | 63,3 |
| მინესოტა | 16 | 13 | 55,2 |
| დენვერი | 15 | 14 | 51,7 |
| ჰიუსტონი | 13 | 14 | 48,1 |
| ვანკუვერი | 8 | 20 | 28,6 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 19 | 7 | 73,1 |
| ლეიკერსი | 20 | 10 | 66,7 |
| პორტლენდი | 19 | 10 | 65,5 |
| ფინიკსი | 17 | 9 | 65,4 |
| სიეტლი | 15 | 14 | 51,7 |
| კლიპერსი | 10 | 19 | 34,5 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 19 | 29,6 |

**კრივი**

## ნოვოსიბირსკელი სომეხი გაილახა

**IBF-ს ვერსიით ინტერკონტინენტალური ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში, რომელიც ბელგიაში გაიმართა, მასპინძელმა ლანსან დიალომ ქულებით – 112:116, 115:113 და 115:113 მოუგო ნოვოსიბირსკელ მოკრივეს სერგეი ტატევოსიანს.**

## „ჯენტლმენი" „ვეფხვის" მოსათვინიერებლად...

IBF-ს ვერსიით ქვემძიმე წონაში ყოფილი გერმანელი მსოფლიო ჩემპიონი ჰენრი მასკე, რომელმაც ორიოდე წლის წინათ კრივის ხელთათმანები სპორტული კომენტატორის მიკროფონზე გაცვალა, კვლავ გამოვა რინგზე WBO ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის დარიუშ მიხალჩევსკის წინააღმდეგ. კრივის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ მასკეს მეტსახელი „ჯენტლმენია", მიხალჩევსკის – „ვეფხვი".

## აი, გამჭრიახობა!

ურუგვაის პრეზიდენტმა ხორხე ბატლიემ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო: ურუგვაისადმი სსრ კავშირის საგარეო ვალს რუსეთი გადაიხდის მძლეოსანთა და ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელების სამხრეთ ამერიკაში მუშაობის სანაცვლოდ.

**ცურვა**

## კლოჩკოვამ შევჩენკოს გაასწრო

სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებზე უკრაინელმა მოცურავე ქალმა იანა კლოჩკოვამ ორი ოქროს მედალი მოიპოვა. სწორედ ამ ხარკოველ სპორტსმენს მიანიჭეს სპორტულმა ჟურნალისტებმა პირველობა უკრაინაში ჩატარებულ რეფერენდუმში. მეორე ადგილზე გავიდა ანდრეი შევჩენკო (ფეხბურთი), მესამეზე – ნიკოლაი მილჩევი (სასტენდო სროლა).

რაც შეეხება უკრაინის უკანასკნელ ათწლეულის სპორტსმენთა დასახელებას, აქ ბადალი არ ჰყავდა სერგეი ბუბკას (მძლეოსნობა). შემდეგ მოდიან იანა კლოჩკოვა (ცურვა) და ანდრეი შევჩენკო (ფეხბურთი).

**ძიუდო**

## დუიემ კიდევ ერთი ტიტული დაისაკუთრა

ფრანგმა ძიუდოისტმა დავიდ დუიემ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ავტორიტეტულ გაზეთ „ეკიპის" მიერ აღიარებული იქნა 2000 წლის რჩეულ სპორტსმენად, კიდევ ერთი ტიტული დაისაკუთრა. იგი დაჯილდოვდა საფრანგეთის სპორტის აკადემიის პრემიით: მისმა 47-მა წევრმა წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია სიდნეიში დუიეს ბრწყინვალე გამოსვლა. იქ ძიუდოისტმა თავის კარიერაში მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.



გუშინ, ბერეჟნაია-სიხარულიძის დუეტმა რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვა ფიგურულ ციგურაობაში.

**ტყვიით სროლა თბილისის ჩემპიონატი**

## ალბერტ ავეტისიანმა შეჯიბრება დაგვიბრუნა

დედაქალაქის ტყვიით მსროლელებს, ცნობილი მიზეზების გამო, დიდი ხანია მოენატრათ ასპარეზობებში მონაწილეობა. მათ არ სჯეროდათ, რომ კრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელი გახდებოდა. სპორტსმენებს დახმარების ხელი გაუწოდა შპს „ამირანის" გენერალურმა დირექტორმა ალბერტ ავეტისიანმა, რომელმაც მთლიანად დააფინანსა თბილისის პირადი ჩემპიონატი პნევმატური იარაღიდან სროლაში.

ვარჯიში, როგორც ცნობილია, სრულდება 10 მეტრზე დგომელა მდგომარეობიდან 40 გასროლით. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ორგანიზაციას და ჩატარებას ერთი თვე დასჭირდა, რაც შესაშური ოპერატიულობაა.

ამოცანა იყო გვეხილა არა იმდენად მაღალი ოსტატობა, მთავარია სპორტსმენების ჩაბმა საშეჯიბრო პროცესში. ცოდნა და ჩვევები მათ ხომ წლების განმავლობაში დაჰკარგეს. მიუხედავად ამისა, მსროლელებმა მაინც აჩვენეს სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის შედეგები. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სპორტული კომპლექსური ბაზა, სადაც ეს შეჯიბრება ჩატარდა, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მონაწილეებს. მთავარი საკითხი იყო ტირის განათება, რაც, საბედნიეროდ, მოგვარდა კომპლექსის უფროსის მიხეილ ფრიდმანის ხელშეწყობით. ვფიქრობთ, მომავალშიც გაგრძელდება თანამშრომლობა ჩვენს შორის.

შეჯიბრებაში ჩაება 28 მსროლელი – 20 ვაჟი და 8 ქალი.

***ქალები. პნევმატური შაშხანით სროლა:*** 1. ხათუნა ბერიკაშვილი („დინამო"), 2. თამილა ასათიანი (ასკ), 3. დიანა ავეტისიანი („დინამო").

***პნევმატური პისტოლეტით სროლა:*** 1. ნინო ღალაშვილი (ასკ), 2. მარიკა ბიბილური („დინამო"), 3. ნათია კალანდარიშვილი (ასკ).

***ვაჟები. პნევმატური პისტოლეტით სროლა:*** 1. მამუკა ბოსტოღანაშვილი (ასკ-ჯეოსელი), 2. თორნიკე ნიკოლაიშვილი, 3. სერგი ჩიტაიშვილი (ორივე – ასკ).

როგორც ვნახეთ, პრიზიორები ძირითადში ასკ-ს სპორტსმენები არიან. ამიტომ მათი ოსტატობის ამაღლებას ესაჭიროება ყოველმხრივი ხელშეწყობა. მით უმეტეს, რომ 2001 წლის ივლისში ფინეთის საპორტო ქალაქ ლახტში ტარდება სამხედრო სპორტსმენთა შორის მსოფლიოს XXXVIII ჩემპიონატი. წლეულს ზაფხულში კი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენმა არმიელმა ქალებმა V-VI ადგილები დაიკავეს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რაც უფრო მეტი ახალგაზრდა დაეუფლება ტყვიის სროლას, მით უფრო მომზადებულები იქნებიან ისინი სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის და მეტ წვლილს შეიტანენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.



დასასრულს, ჩემპიონები და პრიზიორები შესაბამისად დაჯილდოვდნენ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით. „ამირანმა" ჩემპიონებს გადასცა ფულადი პრემიებიც – 50-50 ლარი.

**რუბენ კაცობაშვილი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი**

***სურათზე:*** *მარცხნიდან: თორნიკე ნიკოლაიშვილი, ხათუნა ბერიკაშვილი, ნინო ღალაშვილი, მამუკა ბოსტოღანაშვილი და სერგი ჩიტაიშვილი.*

# მოდაში შემოდის ორსაფეხურიანი სისტემა

ამ ბოლო ხანებში ჭადრაკში მოდაში შემოდის ორსაფეხურიანი სისტემა. კერძოდ, ტურნირი იწყება შვეიცარიული სისტემით, შემდეგ კი გრძელდება წრიულად ან „ნოკაუტით“.

ასე მოეწყო ასპარეზობა სწრაფ ჭადრაკში კორსიკის ქალაქ ბასტიაში, რომელმაც ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი.

შვეიცარიული სისტემით 7 ტური გათამაშდა. ანანდმა (ინდოეთი) 6 ქულა მოაგროვა, ონიშჩუკმა და ტიმოშენკომ (ორივე – უკრაინა) 5-5 ქულა, ჯურიჩმა, დრაჟიჩმა (ორივე – იუგოსლავია), ნისიპიანუმ (რუმინეთი), ლუპუმ (საფრანგეთი) და ჩერნინმა (უნგრეთი, ყოფილი ხარკოველი) – 4,5-4,5 ქულა.

შემდეგ შეჯიბრება ნოკაუტ-სისტემით გაგრძელდა. აქ მეოთხედფინალში ანანდმა მოუგო ჩერნინს, ჯურიჩმა – ნისიპიანუს, დრაჟიჩმა – ტიმოშენკოს და ლუპუმ – ონიშჩუკს. ნახევარფინალში ანანდმა დაამარცხა ჯურიჩი, დრაჟიჩმა კი ლუპუ. ფინალში აშკარა ფავორიტი ანანდი ამ დასკვნით ასპარეზობაში მონაწილე ერთადერთ საერთაშორისო ოსტატ დრაჟიჩს შეხვდა და როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა კიდეც ანგარიშით 2-0.

# კრამნიკი: მატჩ-რევანში? არავითარ შემთხვევაში!

როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა გამოაცხადა, მას ლაპარაკიც კი არ სურს 2001 წელს მატჩ-რევანშზე, როგორც ეს გარი კასპაროვს უნდა. ასეთი მატჩ-რევანში რაიმე ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ყოფილა. აბა, როდის და როგორ აპირებს მსოფლიოს ახალი ჩემპიონი თავისი წოდების დაცვას. იგი ასახელებს კიდეც თარიღს — 2002 წელს. ახლა კომპანია BGN („ინტელექტუალური თამაშები“) აპირებს მსოფლიო პირველობის ჩატარების მწყობრი სისტემის შექმნას. ეს სწორედ ის კომპანიაა, რომელმაც კასპაროვ-კრამნიკის მატჩი მოაწყო.

2001 წლის შუაგულში მოეწყობა დიდი შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, რომელშიც 30-ზე მეტი წამყვანი დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას. მისი მიზანია, 7 უძლიერესის შერჩევა, რომელსაც დაემატება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, გარი კასპაროვი. 8 პრეტენდენტი ორ წრედ ითამაშებს და პირველ ადგილზე გასული მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის ოფიციალურ უფლებას მიიღებს. ეს უკვე მეტად ობიექტური სისტემა იქნება, რაიმე შემთხვევით შედეგებზე ხომ მართლაც ლაპარაკი აღარ შეიძლება.

აი, ეს სისტემა მოსწონს ძალიან კრამნიკს. ის, რომ კასპაროვმა თავისი ნება-სურვილით დაასახელა პრეტენდენტი (კრამნიკი!), ამიერიდან რასოდეს არ უნდა განმეორდეს.

## განცხადება

**კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე გაზეთ „ლელოს“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2001 წლის იანვრიდან, პიროვნებებისა და ორგანიზაციების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წერილები გამოქვეყნდება მხოლოდ ორგანიზაციების დაკვეთით, გაზეთში გამოყოფილი ფართისათვის შესაბამისი ანაზღაურებით (შეღავათით). ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებზე.**

# თბილისელი დიდოსტატები პრიზიორთა შორის

თბილისელი დიდოსტატი გია ბაღათურიოვი მონაწილეობდა დიდ საჭადრაკო ფესტივალში, რომელიც ქ. არკოში (იტალია) მოეწყო. მასში მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა – 175 მოჭადრაკე იყო. ისინი კვალიფიკაციის მიხედვით ოთხ ჯგუფად დაჰყვეს. ძირითად ტურნეში (შვეიცარიული სისტემით 9 ტურად) თამაშობდნენ რვა დიდოსტატი, 7 საერთაშორისო ოსტატი, სამი ფიდეს ოსტატი და ოთხი მოყვარული.

პირველი ადგილის ბედი გადაწყდა გამოცდილ დიდოსტატ ტუკმაკოვის შეხვედრაში ჭაბუკ ინგლისელ საერთაშორისო ოსტატ მაკშეინთან. ჭაბუკი მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გამოდიოდა, მაგრამ შეცდა და მთავარი პრიზიც 7 ქულით სწორედ ამ შეხვედრის მომგებმა ტუკმაკოვმა მოიპოვა. შესანიშნავად ითამაშა გია ბაღათურიოვმა, რომელმაც 6,5 მოაგროვა და მეორე პრიზი მოიპოვა.

ამდენივე ქულით მომდევნო ადგილები (დამატებითი მონაცემების მიხედვით) დაიკავეს დიდოსტატებმა სლობოდანმა (გერმანია), ინკიევმა (ბულგარეთი), ჰოფშტეინმა (ისრაელი) და ჯურიჩმა (იუგოსლავია). ჭაბუკი ინგლისელი მაკშეინი და იუგოსლაველი დიდოსტატი დრაჟკო მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**29 დეკემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არდადეგების დროს“, ევროპის ჩემპიონატი (13.15. 17.30), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (19.30), შოტლანდიის ჩემპიონატი (20.00, 23.45), ევროპის ფეხბურთი (21.45), „განვლილი წლის გზაჯვარედინზე“ (22.45). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბას- მიმოხილვა (13.40), ტაილანდური კრივი (16.05), ***ESPN.*** „რაგბის სამყარო“ (14.00). ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.30), აშშ-ის ფეხბურთი (19.00), იტალიის ჩემპიონატი, „რომა“ – „იუვენტუსი“ (22.00), კალათბურთი. ნბა „ნიუ-იორკ-ნიკსი“ – „ჩიკაგო ბულსი“, პირდაპირი (04.30), ***EUROSPORT***, ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.00, 14.00, 19.00, 21.00, 22.00).

**30 დეკემბერი, შაბათი**

***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.15), ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (15.00), ინგლისის ჩემპიონატი (15.55), 2000-ის ფინალები (17.50, 23.00), ბრაზილიის ჩემპიონატი (20.35) „წლის შედეგები აზრთა გზაჯვარედინი“ (22.30), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.40, 22.35). აშშ-ის ეროვნული საფეხბურთო ლიგა (01.05), ***ESPN.*** საცხენოსნო სპორტი (07.00), კალათბურთი, ნბა „ნიუ-იორკნიკსი“ – „ჩიკაგო ბულსი“ (12.00), ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი „იფსვიჩი“ – „ტოტენჰემი“, პირდაპირი (16.00), „ნიუკასლი“ – „მანჩესტერი“, პირდაპირი (19.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (13.00), თხილამურები. ტრამპლინი (14.00), ცხენოსნობა (0.00)

**31 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2*** საახალწლო სპორტული პროგრამა (20.10), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15), ბრაზილიის ჩემპიონატი (15.00, 19.15), 2000-ის ფინალები (21.00), წელიწადის შედეგები (23.00), ***НТВ плюс спорт.*** აშშ-ის ეროვნული საფეხბურთო ლიგა (11.40), სპორტული ცეკვა. მსოფლიო „ჩემპიონატი“ (16.45), სპორტული საუკუნე (21.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი „იფსვიჩი“ – „ტოტენჰემი“ (07.30), „არსენალი“ – „სანდერლენდი“ (14.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (16.30, 20.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ევროგოლი (16.30, 17.15, 18.30, 19.45), „ოცნების გუნდები“ (16.45), ევრო-2000 (18.45), მსოფლიო სპორტი (22.00, 2.00, სპეციალური გამოშვება).

## ხსოვნა ნიკოლოზ ჩქარეულის გახსენება



66 წლისა წავიდა ამქვეყნიდან თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით 50-იანი წლების გამოჩენილი მოჭიდავე ნიკოლოზ ჩქარეული — „დინამოს“ და ცსკა-ს საკავშირო პირველობების მრავალგზის გამარჯვებული, სსრ კავშირის ჩემპიონი და არაერთზგის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, მძიმე წონაში საკავშირო ნაკრების წევრი თავისუფალ ჭიდაობაში, სოციალისტური ქვეყნების არმიელთა პირველობაში გამარჯვებული. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ პირადი მეტოქეები და მეგობრები ა. მეკოკიშვილი, ა. მედვედი, ბ, გურევიჩი, ნ. ენგლასი, ა. როშინი და სხვები, მაგრამ ტრავმის გამო ნაადრევად ჩამოშორდა ხარბიელს. 1957 წელს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

1959 წლიდან მშობლიურ ყაზბეგში, სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. მართავდა ალპინიადებს, მთამსვლელთა და მეკლდეურთა შეჯიბრებებს, ხელმძღვანელობდა მოჭიდავეთა სექციას, აღზარდა საქართველოს მრავალი ჩემპიონი და სსრ კავშირის პირველობაში გამარჯვებული ახალგაზრდებს შორის. 1980 წლიდან გაერთიანებული სოფლების საბჭოს თავმჯდომარე იყო. 7 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სკოლას და სიცოცხლის ბოლომდე მასწავლებლობდა. გარდაიცვალა 2000 წლის 24 ივლისს.

ნ. ჩქარეულმა კეთილშობილი რაინდის და სამაგალითო პიროვნების ხელი დატოვა ყველას ხსოვნაში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

საქართველოს მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი“.

---

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ცნობილ ვეტერან ხელბურთელს, სპორტის საპატიო ოსტატს იმედო ფხაკაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს სპორტის საპატიო ოსტატს ხელბურთში იმედო ფხაკაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ხელბურთის ასოციაცია უსამძიმრებს ვეტერან ხელბურთელს, ამავე ასოციაციის პრეზიდიუმის წევრს იმედო ფხაკაძეს დედის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 28-29 XII 16 სთ; გამოსვენება 30.XII 14 სთ. მისამართი სვანეთის, 11.

---

საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე სკოლის დირექტორს იმედო ფხაკაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს იმედო ფხაკაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან მორაგბეს მურიკო თოფურიძეს ძმის

აბული თოფურიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი

ეკატერინე (კატუშა) აფრიდონიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს მურიკო თოფურიძეს ძმის

აბული თოფურიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება სპორტული კომპლექსი „ლაგუნა-ვერე“ ვეტერანი მოცურავეები, სინქრონული მოცურავეები, წყალში მხტომელები, წყალბურთელები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა, ვეტერანი მწვრთნელი, საქართველოში პირველი მწვრთნელი სინქრონულ ცურვაში

ანა ივანოვა

და სამძიმარს უცხადებენ ახლობლებს.

## კროსვორდი №102




**თარაზულად:** 1. ძალოსნობის სახეობა, 5. წარსულში ფრანგი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 9. ჩილელი ჩოგბურთელი ვაჟი, 10. „ლივერპულის“ თავდამსხმელი, 11. წარსულში გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 12. უეფას ჩინოსანი, 13. ექსტრავაგანტური ქცევით განთქმული კოლუმბიელი ფეხბურთელი, მეკარე, 15. ნბა-ს ვარსკვლავი, 17. ლაინსმენის ატრიბუტი, 19. მოლდაველი ფეხბურთელი, 22. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 25. შვეიცარიელი ფეხბურთელი, 26. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში, 29. ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 31. კანადელი ჰოკეისტი, 32. ... ჟაკე, 33. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 34. პოლონეთის საკალათბურთო გუნდი, 36. აღმოსავლური სამაგიდო თამაში, 37. რუმინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 38. თურქი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 2. მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 3. წარსულში ესპანელი ფეხბურთელი, მეკარე, 4. რუსთაველი კალათბურთელი, ამჟამად ლეგიონერი, 5. „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელი, 6. დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო მძლეოსნობის ფედერაციის აწ გარდაცვლილი თავკაცი, 7. 80-იანი წლების ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, 8. .... ჯიქურაული, 14. სპორტის სახეობა, 16. წარსულში შოტლანდიელი ფეხბურთელი, 18. გერმანელი პროფესიონალი მოკრივე, 20. კრივის საასპარეზო არენა, 21. კლუბების გაერთიანება, 23. საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ვაჟი, 24.... ლომბარდო, 27. წარსულში რუსი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 28. 80-იანი წლების ფრანგი ფეხბურთელი, მცველი, 29. ქართველი ფეხბურთელი, მცველი, 30. სპორტის სახეობა, 34. წარსულში უძლიერესი პროფესიონალი მოკრივე.

### №101 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სანეევი, 6. დიკანიო, 7. ბრუმელი, 10. „იმოლა“, 11. ანანდი, 12. ოლსენი, 17. ნევიო, 19. შახლინი, 20. სავიო, 21. „რიბოკი“, 22. „ოსკარი“, 26. იონკი, 27. ბროლინი, 28. იგლსი, 31. „სკონტო“, 32. გოლოტა, 33. „გორდა“, 35. იურგენი, 36. მოსკოვი, 37. ლიბერია. შვეულად: 2. აჭიმი, 3. „ვერია“, 4. „რაპიდი“, 5. „ემპოლი“, 6. დრონოვა, 8. ივანოვი, 9. „ლომელი“, 13. ანტალია, 14. ლასკერი, 15. ანისინი, 16. „ბოლონია“, 18. ონილი, 20. სერხი, 23. სნუკერი, 24. ელბერი, 25. ბლატერი, 29. შტანგა, 30. „მონაკო“, 33. „გენკი“, 34. „აზოტი“.

## საჭადრაკო ამოცანა

### საახალწლო...

ოთარ მამულაშვილი



ნადიშამათი 2 სვლაში

(4 ამოხსნა)

მოცემული ამოცანის ამოხსნა:

I. 1.ჟc6 ეხb4 2.მd5 მf4X.
II. 1.ჟg6 ეხb4 2.მf5 მd4X.
III. 1.მd5 მf4+ 2.მd4 ეხb4X.
IV. 1.მf5 მd4+ 2.მf4 ეხb4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.